საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდეგუნი სიცოცხლეა, ცეცხლებით და ჯოხებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 27 იანვარი. 2023 წ. №10 (9542) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



CV VICTIMS: საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აღასტურებს პოლიტიკურ ზეწოლას CREDIT SUISSE-თან სამართლებრივ დავაში

იხ. 5 გვ.

მსოფლიოს ევროპელი თაღლითები ღრღნიან!!!

ირაკლი ღარიბაშვილი:

საქართველო ამაყობს, რომ ჰყავს ელდარ შენგელაია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი ელდარ შენგელაიას** 90 წლის იუბილეს ულოცავს.



„90 წლის იუბილეს ვულოცავ ჩვენს სახელოვან რეჟისორს ელდარ შენგელაიას. ელდარ შენგელაიას ღვაწლი ქართულ კინოხელოვნებაში განუზომელი და ფასდაუდებელია. მის შემოქმედებას, ასე საყვარელსა და საამაყოს ყოველი ჩვენგანისთვის, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ კინემატოგრაფიაში. ელდარ შენგელაიას კინოშედევრების თითოეული პერსონაჟი სიყვარულსა და სიკეთეს ასხივებს და დღემდე ახლობელი და საყვარელია ყველა თაობისთვის. საქართველო ამაყობს, რომ ჰყავს მსოფლიო კლასის რეჟისორი, რომელმაც ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ კინოს. ჯანმრთელობასა და მხნეობას ვუსურვებ ჩვენს დიდ რეჟისორს“, – აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

კორუფციე ისევ ჯამს უკრაინას!

არ გრცხვენიათ, თქვე მართლა კვერცხებო?!,

იხ. 8 გვ.

რაგვა მთლად „უკრაინელ“ სააკაშვილს დაემსგავსეთ!?

უკრაინაში თანამდებობის პირებს საზღვარგარეთ არასახელმწიფო მიზნებით გამგზავრება ეკრძალებათ. ხუთი დღის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტმა უნდა შეიმუშაოს საზღვრის გადაკვეთის პროცედურა თანამდებობის პირებისთვის, რომ საზღვრის გადაკვეთის მიზეზი მხოლოდ რეალური სამუშაო ვიზიტი იყოს. ეს გადაწყვეტილება **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის პარალელურად, გენერალური პროკურორის მოადგილე, **ალექსეი სიმონენკო** ახალი წლის აღსანიშნავად ოჯახთან ერთად ესპანეთის ქალაქ მარბელიაში 10 დღით იმყოფებოდა.

მას შემდეგ, რაც ალექსეი სიმონენკოს დასასვენებლად ყოფნის შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდა, მას გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვეს. სიმონენკო არაა ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომელიც ომის პარალელურად თავს უფლებას აძლევს, ახალი წელი ევროპაში გაატაროს. ვოლოდიმირ ზელენსკის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის რუსეთ-უკრაინის ომის გამდიდრების უნიკალური საშუალება გახდა.

გურამ ნიკოლაშვილი:

შავი ზღვის ელექტრო-გადამცემი ხაზი

3

ევრო-ინტეგრაცია, ტერიტორიული მთლიანობა და შუა დერეფნის მდგრადობა

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზი – ევროინტეგრაცია, ტერიტორიული მთლიანობა და შუა დერეფნის მდგრადობა 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის სხვა გლობალურ მოვლენებთან და ცვლილებებთან ერთად, ენერგეტიკული ასპექტითაც ღირსშესანიშნავია. გლობალურმა კატაკლიზმებმა და ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ომმა განსაკუთრებით გამოაჩინა ენერგეტიკის პოლიტიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა. მიუხედავად სასიცოცხლო გამოწვევებისა, ევროპა მტკიცედ ადგას მწვანე ენერგეტიკის შეთანხმების პოლიტიკას და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის გზას.

პაპი ჰომოსექსუალიზმის დამცველია

12

რუსეთის პატრიარქმა უკრაინელ და რუს ერებს შერიგებისკენ მოუწოდა

ჟურნალისტების მკვლელობა წინა წელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზარდა

9

კრწანისში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი შენდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, თავდაცვის მინისტრთან, ჯუანშერ ბურჭულაძესა და თავდაცვის ძალების მეთაურთან, გიორგი მათიაშვილთან ერთად, კრწანისში კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელი მიენიჭება.

მთავრობის მეთაურმა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად, შენობის ფუნდამენტში კაფსულა ჩადო და მოისმინა დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

თავდაცვის სამინისტრომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობა დაიწყო. ლიცეუმის ტერიტორიაზე აშენდება ახალი ფუნქციური შენობები, ხოლო იქ არსებულ ობიექტებს სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდება. 42 ჰექტარ ტერიტორიაზე დაგეგმილია 400 კადეტზე გათვლილი საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსების, სასადილოსა და ლაზარეთის შენობების, აგრეთვე საკონფერენციო დარბაზისა და ადმინისტრაციული კორპუსის სრული რეკონსტრუქცია. ასევე, აშენდება სიმულაციის ცენტრი, დახურული სპორტული დარბაზი, ინფრასტრუქტურის სამსახურის შენობა და საკონტროლო-გამშვები პუნქტი.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობისთვის 40 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში, წლევია, წარმატებით ფუნქციონირებს გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი. ახალი ლიცეუმი დასავლეთ საქართველოს ლიცეუმის ანალოგი იქნება და აღმოსავლეთ საქართველოს დაფარავს.

სამეგრელოში დაზიანებული ინფრასტრუქტურა აღდგება

პრემიერის გადაწყვეტილებით სამეგრელოს რეგიონში დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად 5 310 000 ლარი გამოიყო. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები და ზუგდიდის მერი გაეცნენ. რეგიონში ძლიერმა ქარმა 40-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააზიანა.

გარდა აღდგენითი სამუშაოებისა, სტიქიის შედეგად დაზიანებული კერძო სახლების მფლობელებისთვის საკომპენსაციოდ მთავრობის განკარგულებით 1 470 000 ლარი გამოიყო. ძლიერი ქარის შედეგად მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანდა 2400-მდე საცხოვრებელი სახლი. დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების ჩარიცხვა მიმდინარეობს, საკომპენსაციო ნაწილი სამშენებლო მასალებთან ერთად ხელოსნებისთვის საჭირო თანხასაც ითვალისწინებს.

სატრანსპორტო ნაკადი დღითი დღე იზრდება

სულ უფრო და უფრო იზრდება ევრაზიის დამაკავშირებელი შუა დერეფნის როლი და მნიშვნელოვნად გაზრდილია სატრანსპორტო ნაკადი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა საბაჟოს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას. როგორც მან თქვა საბაჟო განუხრელად ახორციელებს გაზრდილი მოცულობის საბაჟო უზრუნველყოფას.

„პოსტპანდემიისა და მიმდინარე ომის, შედეგად საერთაშორისო ლოჯისტიკური ჯაჭვი სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. სულ უფრო და უფრო იზრდება ევრაზიის დამაკავშირებელი შუა დერეფნის როლი, მნიშვნელოვნად გაზრდილია სატრანსპორტო ნაკადი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ივარაუდება, რომ ტვირთის მოცულობა შუა დერეფანში რამდენჯერმე გაიზრდება. საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ამოცანაა, არსებული ინფრასტრუქტურის უფრო მეტი ეფექტიანობით გამოყენება და მისი სწრაფი განვითარება. როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს საავტომობილო გზების მშენებლობის მასშტაბური პროექტი, რომლის ძირითადი ნაწილი 2024 წლისთვის დასრულდება. იმავდროულად, ხდება რკინიგზის რეაბილიტაცია, პორტისა და საჰაერო ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების განვითარება. გასულ 2022 წელს, ჩვენ გვქონდა საშუალება, საქართველო-სომხეთის საზღვარზე გაგვეხსნა „ნინოწმინდის“ საბაჟო გამშვები პუნქტის ახალი შენობა-ნაგებობა. 2023 წელს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე იხსნება „ლაგოდეხის“ საბაჟო გამშვები პუნქტის ასევე სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა. ცხადია, მიმდინარეობს სხვა გამშვები პუნქტების სრული რეაბილიტაცია-განახლება“, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა.

უკეთესი და მეტი ქართული ღვინის წარმოებისთვის კონტროლი მკაცრდება!

2022 წელს, „გაეროს“ „სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ“ (FAO), ევროკავშირის EU4Business ინიციატივის მხარდაჭერით, „გამრავლების შემაფერხებელი პროგრამა“ განახორციელა და ქვეყანაში ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა დანერგა.

ევროპული ყურძნის ჭია – Lobesia botrana, ყურძნის წარმოებას მნიშვნელოვნად აზარალებს. ის დაახლოებით 40%-ით ამცირებს მოსავალს და, უნებრივია, ყურძნისა და ღვინის ხარისხზეც უარყოფითად აისახება.

პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს, ევროკავშირი და FAO თორმეტ მცირე, საშუალო და დიდ მეღვინეს დაეხმარა და გააცნო ინოვაციური, ორგანული მეთოდი, რომელიც ამცირებს პესტიციდების გამოყენების საჭიროებას. „გამრავლების შემაფერხებელი პროგრამა“ მამრობითი სქესის ყურძნის ჭიის დასაგნევად ფერომონს იყენებს, რაც მას მდედრის პოვნაში უშლის ხელს. შედეგად, ჭია ვეღარ ნაყოფიერდება და ვეღარ მრავლდება, ხოლო ვენახი ნაკლებად ზიანდება.

შესაბამისად, ფერომონების გამოყენება მდგრადი და ეკო-მეგობრული ყურძნის მოვლის საშუალება და ორგანული ღვინის წარმოების ხელშემწყობი მეთოდია. გასულ წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით, FAO-მ ეს პრაქტიკა 200 ჰექტარის ფართობის ვენახში დანერგა. თორმეტივე მეღვინემ განაცხადა, რომ მათი მოსავალი დაახლოებით 40%-ით გაიზარდა, ხოლო დანახარჯები ქიმიკატებზე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბენეფიციარებს ასევე ბევრად გაუმარტივდებათ მავნებლების ინტეგრირებული მართვა.

ევროკავშირის მხარდაჭერით, „გამრავლების შემაფერხებელი პროგრამის“ ეფექტურობა ყოველწლიურად იზრდება. 2023 წელს, FAO უფრო აქტიურად განაგრძობს აღნიშნული მიმართულებით საქმიანობას და პროგრამაში ჩართავს მეღვინეებს საქართველოს დასავლეთის რეგიონებიდანაც, რაც 2022 წელს პროექტის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა.

თაღლითები თაღლითებად დარჩნენ!..

მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის მიმართ საქალაქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დარჩა

მეორე ინსტანციაში ორივე მხარე დავობდა. პროკურატურა ასაჩივრებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით თანხების გათეთრებაში ბრალდებული ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი სასამართლომ დამნაშავედ ცნო, თუმცა წარდგენილი ბრალდება თაღლითობის მუხლით გადააკვალიფიცირა. მუხლის ხანდაზმულობის გამო კი მათ სასჯელი არ განესაზღვრათ. პროკურატურა ბადრი ჯაფარიძის, მამუკა ხაზარაძისა და ავთანდილ წერეთლის მიმართ თავდაპირველად წარდგენილი ბრალდების დაბრუნებას ითხოვს.

თავის მხრივ, განაჩენი გასაჩივრებული ჰქონდათ მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძესა და ავთანდილ წერეთელს, რადგან მიაჩნიათ, რომ მათ მიმართ სრულად გამამართლებელი განაჩენი უნდა დამდგარიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე განაჩენი 2022 წლის 12 იანვარს გამოაცხადა. მოსამართლის განცხადებით, სასამართლომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე ბრალდებები გადააკვალიფიცირა, თუმცა ისინი ცნობილი იქნენ დამნაშავედ, ხანდაზმულობის გამო კი, გათავისუფლდნენ საპატიმრო სასჯელისგან. კერძოდ, სასამართლომ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ წარდგენილი ბრალდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრება) მუხლიდან თაღლითობის მუხლზე გადააკვალიფიცირა, ხოლო ავთანდილ წერეთლის ბრალდება ფულის გათეთრებაში მონაწილეობიდან – თაღლითობაში მონაწილეობაზე.

გაურკვეველი ტიპები რაღაც სანქციებით მემუქრებიან!..

ნინო ნადირაძე: – ვიღაცა გაურკვეველი ტიპები რაღაცა სანქციებით მემუქრებიან, ჩამონათვალიც გამომიგზავნეს. ღმერთო, რა კუჭზე და დროსტარებაზე ორიენტირებული ხალხია, მემუქრებიან, ვერ იმოგზაურებ, ფული არ გექნება, საჭმელს ვერ შეჭამ საშვილიშვილოდო. ეგ თქვენ გადარდებთ, „ცაკალელებო“. მაგ ჩამონათვალში რომ ყოფილიყო სამშობლოზე, სარწმუნოებაზე და ენაზე უარის თქმა, მაშინ ნამდვილად ვიდარდებდი. რა ცუდად მიცნობთ. შეაშინეთ ბებიათქვენი...

გურამ ნიკოლაშვილი,

ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ მრჩეველი ენერგეტიკული კომუნიკაციის საკითხებში

შავი ზღვის ელექტრო-გადამცემი ხაზი

ევროინტეგრაცია, ტერიტორიული მთლიანობა და შუა დერეფნის მდგრადობა

(პირველი გვერდიდან)

წიაღისეული საწვავის შემცირება ისედაც წარმოადგენდა ეკოლოგიური პოლიტიკის პრიორიტეტს, რაც არათუ შეიცვალა რუსეთის მიერ ომის გაჩაღების შემდეგ, არამედ ზედ აგრესორის წინააღმდეგ შემოღებული სანქციებიც დაერთო. სანქციები კი ყველაზე მეტად სწორედ ენერგომატარებლებს ეხება, რომლის პოლიტიკურ მერკეტად გამოყენებას რუსეთი არაერთი წელია მიმართავს. შექმნილმა ვითარებამ გვაჩვენა, რომ ევროპას მწვანე ენერგიის წარმოებასთან ერთად იგივე პროდუქციის იმპორტისთვის საიმედო დერეფნები ჭირდება. ეს ვითარება სრულიად ახალ შესაძლებლობებს უხსნის მთელ რიგ ქვეყნებს, რომელთა შორისაც საქართველოს საკვანძო ადგილი უჭირავს – საქართველოს, რომელიც შუა დერეფნის მნიშვნელოვანი რგოლია.

საქართველო თავადაცაა ევროპის მწვანე შეთანხმების ნაწილი. გარდა ამისა ქვეყანა ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპული პერსპექტივის მოთხოვნათა მიხედვით მთელ რიგ რეფორმებს ახორციელებს, რომელიც კლიმატის ცვლილებაზეა გათვლილი და ევროპული სტანდარტის დანერგვას გულისხმობს. გარდა ევროპასთან საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე ჰარმონიზაციისა, საქართველოს თვითონაც ესაჭიროება ელექტროენერგიის გენერაციის მოცულობების გაზრდა, რაც სწორედ მისი ბუნებრივი რესურსით, ანუ განახლებადი ენერგიით უნდა მიიღწეს.

განვითარების ამგვარი გზის შედეგად კი ქვეყანაში იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ, ტექნოლოგიურ და საინჟინრო კადრებზე, ენერგეტიკისა და გარემოს სპეციალისტებზე. იზრდება მოთხოვნა მაღალანაზღაურებად და მაღალტექნოლოგიურ სპეციალისტებზე. ენერგეტიკის სექტორს უჩნდება შესაძლებლობა გახდეს მდგრადი და თვითკმარი განვითარების მაგალითი და ხორცი შეასხას სრულ საწარმოო ციკლის გენერაციის ობიექტების ადგილობრივ რესურსზე ამუშავებიდან საბოლოო მოხმარების პროდუქტის გამოშვებასა და მიწოდებამდე. ენერგეტიკული თვალსაზრისით მსგავსი წინაპირობის გაჩენა მყისიერ მოთხოვნას აჩენს სათანადო განათლებასა და მაღალანაზღაურებადი კადრების მომზადებაზე.

კიდევ ერთი უპირატესობა ენერგეტიკის დარგში კონკურენტუნარიანობაა. ევროპის ბაზრის პოლიტიკა მწვანე ენერგიის პრიორიტეტის შესახებ, ნახშირბადის გადასახადის დაწესება და განახლებადი რესურსის წახალისებისკენ მიმართული ნაბიჯები საქართველოს, როგორც მწვანე და განახლებადი ენერგიის მწარმოებელ ქვეყანას კონკურენტულ პირობებში აქცევს. ქვეყანას შეუძლია მწვანე ენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი. მწვანე ენერგიით დამზადებული პროდუქცია ევროპის ბაზარზე დამატებითი გადასახადის გარეშე ხვდება, რაც მისი ფასის კონკურენტუნარიანობას ზრდის. ყველა წინაპირობა ერთად საქართველოს ენერგეტიკულ ჰაბად გარდაქმნას უქადის, ეს კი ზრდის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას.

ენერგეტიკული დამოუკიდებლობა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის საოცნებო მდგომარეობაა, თუმცა სრულად ენერგოდამოუკიდებლობისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმს ვერც ერთი ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს. ამის მიუხედავად, ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ მეტი დამოუკიდებლობის მიღწევას, რისკების დივერსიფიცირებას, ენერგიის სტაბილურ წარმოებას, ვაჭრობას და ტრანსპორტირებას. აღნიშნული მიმართულებებით ძალისხმევას კი მივყავართ ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეფციამდე.

ენერგეტიკული უსაფრთხოება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ხარისხიანი ენერგიის საიმედო და უწყვეტ მიწოდებას ქვეყნის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად, ეროვნული უსაფრთხოების და მდგრადი განვითარების ინტერესების დაცვით, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, მიიღწევა მიწოდების რისკების და გარე დამოკიდებულების შემცირებით, ენერგორესურსების, მიწოდების წყაროების და მარშრუტების დივერსიფიკაციით და ენერგოსისტემის მედეგობის ამაღლებით. ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ენერგოეფექტიანობის გაზრდასთან, ადგილობრივი წიაღისეული და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასთან, სტრატეგიული რეზერვების, ენერგოსისტემის მოქნილობისა და ენერგობაზრების განვითარებასთან.

წიაღისეული სათბობის მარაგების სიმწირის პირობებში, განახლებადი ენერგიის წყაროები საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების მთავარი საშუალებაა. საქართველოს განახლებადი ენერგიის წყაროები წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და რეგიონული მნიშვნელობის ენერგეტიკულ პოტენციალს, რომელიც ენერგეტიკული უსაფრთხოების, განვითარების, თანამშრომლობის და კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია. ქვეყნის მდგრადი ენერგომომარაგება მოითხოვს ქვეყანაში განახლებადი ენერგეტიკული რესურსების კომპლექსურ და ეფექტიან ათვისებას.

2021 წელს, საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავებამ 12,645 მგვტ.სთ შეადგინა, რომლის 81 პროცენტიც განახლებადი ენერგიის წილი იყო. მთლიანობაში კი საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსის ტექნიკური პოტენციალი შეფასებულია როგორც 32 ტვტსთ/წელიწადში.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დღეისთვის განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა კლიმატის ცვლილების კონტექსტში განიხილება. ევროპის მწვანე შეთანხმება (EU Green Deal) ევროკავშირის ახალი ინიციატივაა, რომლის მიზანია 2050 წელს ევროპა გახდეს პირველი ნახშირბადნეიტრალური კონტინენტი. შუალედურ სამიზნე მაჩვენებლად დასახულია სათბური აირების გაფრქვევების შემცირება 55%-ით 1990 წელთან შედარებით 2030 წლისთვის. ხოლო 2050 წლამდე უნდა მოხერხდეს სრული ნახშირბადნეიტრალურობა, ანუ სათბურის გაზების ნეტო გაფრქვევების მაჩვენებელი ნულის ტოლი უნდა იყოს. 2022 წელს დამტკიცებული გეგმის მიხედვით 2030 წლისთვის ევროკავშირში მოხმარებული მთლიანი ენერგიის 45% უნდა მოდიოდეს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან.

ეს ნიშნავს, რომ ევროპაში უახლოეს მომავალში უფრო და უფრო გაიზრდება მოთხოვნა მწვანე ენერგიაზე, ადგილზე წარმოებასა და იმპორტზე. შავი ზღვის ფსკერზე გაჭიმული ელექტროენერგიის გადამცემი სადენის ჩადება კი საქართველოს სრულიად ახალ შესაძლებლობებს უხსნის.

2022 წლის ბოლოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წლიური ანგარიშის საჯარო წარდგენისას განაცხადა, რომ კონფლიქტის დარეგულირებისთანავე საქართველო მზადაა, აფხაზეთში 10 მილიარდი ლარი ჩადოს. სადღეისოდ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბიუჯეტი დაახლოებით 200 მილიონ დოლარს ითვლის. სამშვიდობო გეგმისა და ორმხრივი შეთანხმების განხორციელება მთელ რიგ აუცილებელ ნაბიჯებს საჭიროებს, რომლისთვისაც ქვეყანამ მზადება უკვე უნდა დაიწყოს. საქართველოს მხრიდან დაწყებული შერიგებისა და თანხმობის პოლიტიკა თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს, დაახლოების განზრახვა კი პრაქტიკული ნაბიჯების წარმოჩენასაც გულისხმობს.

შავი ზღვის ელექტროგადამცემი სადენი, მწვანე ენერგიის წარმოების შესაძლებლობები, კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებული კვოტების გამომუშავება და ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალი, ინვესტორთათვის უაღრესად მიმზიდველ ფაქტორებს წარმოადგენს. საქართველო ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციას სერიოზულად განამტკიცებს და წიაღისეული საწვავის ტრანზიტორი ქვეყნიდან დამატებით ელექტროენერგიის მწარმოებელ და გადამცემ ქვეყნადაც გადაიქცევა. ყველა ეს ფაქტორი განამტკიცებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და მის დამოუკიდებლობას.

2022 წლის ბოლოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წლიური ანგარიშის საჯარო წარდგენისას განაცხადა, რომ კონფლიქტის დარეგულირებისთანავე საქართველო მზადაა, აფხაზეთში 10 მილიარდი ლარი ჩადოს. სადღეისოდ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბიუჯეტი დაახლოებით 200 მილიონ დოლარს ითვლის. სამშვიდობო გეგმისა და ორმხრივი შეთანხმების განხორციელება მთელ რიგ აუცილებელ ნაბიჯებს საჭიროებს, რომლისთვისაც ქვეყანამ მზადება უკვე უნდა დაიწყოს. საქართველოს მხრიდან დაწყებული შერიგებისა და თანხმობის პოლიტიკა თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს, დაახლოების განზრახვა კი პრაქტიკული ნაბიჯების წარმოჩენასაც გულისხმობს.

საქართველოს ჰიდროელექტროენერგეტიკის გულს ენგურჰესი წარმოადგენს. ეს ელექტროსადგური ქვეყნის ელექტროსისტემის სტაბილურობასა და ჰიდროგამომუშავების 25 პროცენტს უზრუნველყოფს. გარდა თავისი ენერგეტიკული მნიშვნელობისა, ობიექტი დღეს წარმოადგენს სოხუმისა და თბილისის ერთადერთ ოფიციალურ სამუშაო ფორმატს. ენგურჰესის ჯვრის წყალსაცავი მდებარეობს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საზღვარზე, ხოლო ჰესის სამანქანო განყოფილება კი აფხაზეთის მიწისქვეშა ტერიტორიაზე. ჰესში გამომუშავებული ელექტროენერგია წინასწარ შეთანხმებული კვოტების თანახმად ნაწილდება აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. სადგურის ოპერირებას აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფო კომპანია „ენგურჰესი“ უზრუნველყოფს.

საქართველოში განახლებადი ენერგიის განვითარება ბუნებრივად წარმოადგენს აფხაზეთისთვის ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება ქვეყანამ გამოიყენოს ბუნებრივი რესურსი, მოიზიდოს ინვესტიციები, შექმნას ათასობით სამუშაო ადგილი, მაღალანაზღაურებადი ტექნოლოგიური სამსახურები, უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარება და სხვა სექტორებისთვის აუცილებელი ენერგორესურსი საკუთარი გენერაციით მიიღოს. რაც მთავარია, საქართველოს უჩნდება შესაძლებლობა გამომუშავებული რესურსი პირდაპირი გზით გაიტანოს ევროპაში. შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზი რამდენიმე წელიწადში დასახულ გეგმას რეალურად აქცევს.

2023 წელს სოხუმის დაცემიდან 30 წელი შესრულდება. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ ეს უკანასკნელი ცივილიზებული სამყაროდან მოკვეთილ სახელმწიფოდ აქცია. აფხაზური მხარე ხედავს, რომ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა განვითარებაზე, კეთილდღეობასა და ევროინტეგრაციაზეა ორიენტირებული, მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკა ურთიერთობის აღდგენის ახალ შესაძლებლობებს აჩენს, ამავე დროს კი, საქართველოს ენერგეტიკული და ეკონომიკური განვითარება იმ კვაზისახელმწიფოს, იმ მდგომარეობის გაუარესებასაც უქადის, რომელშიც დღეს იმყოფება.

ქვეყნის ენერგეტიკაში ახალი ინვესტიციები, ეკონომიკური აღმავლობა, დაანონსებული ასობით მეგავატის დადგმული სიმძლავრის გაჩენა, ევროპასთან ელექტროსადენით პირდაპირი ტრანზიტი და ვაჭრობა, ენგურჰესზე დამოკიდებულებას და საქართველოსთვის მის სასიცოცხლო მნიშვნელობას ამცირებს. სხვადასხვა პროექტების განვითარებით საქართველო ალტერნატიულ ენერგიას მიიღებს, აფხაზეთი კი რჩება ენგურჰესიდან ყოველწლიურად სულ უფრო მცირე და მცირე რაოდენობით მიღებული დენის ამარა.

ამგვარად, რუსული აგრესიისა და საქართველოს ევროპაში განუხრელი ინტეგრაციის ფონზე, ტერიტორიული მთლიანობის და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივა შესაძლოა მყიფედ, მაგრამ მაინც გამოიკვეთოს. საქართველოს ევროპის ნაწილად ქცევა იმ პოლიტიკის, დერეგულაციისა და სტანდარტების მიღებას გულისხმობს, რომლის საფუძველზეც ევროპის კონტინენტზე არაერთი ეთნოკონფლიქტი ჩაქრა და მინავლდა. ერთიანი ევროპული ქოლგის ქვეშ მოქცეული აფხაზური საზოგადოება, რომელიც დამოუკიდებლობას ესწრაფვის, სასურველ მდგომარეობას უმალ ერთიანი საქართველოს ფარგლებში მიიღებს, ვიდრე რუსული გავლენის სივრცეში ყოფნით.

ნუგზარ ფოფხაძე:

შევარდნაძე წავიდა და... დარჩა

1928 წლის 25 იანვარს მოევლინა ქვეყანას მე-20 საუკუნის ქართული, სსრკ და მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე.

ურთულესი საერთაშორისო თუ ბოლომდე დაულაგებელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების; ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული გაჭირვების; პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობის და ემოციებით გაჟღენთილი გაწყობის აგმოსფეროში, ასევე, ნაკლებად ინფორმირებულობის თუ სხვა მიზეზთა გამო, ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, რომ ცივი გონებით, ობიექტურად, რეალურად შეფასდეს მისი პირადი ინიციატივით თუ თავკაცობით ორგანიზებულ-გაკეთებული საქმეები, რომელთა ჩამოთვლა, ჩემი გადმოსახედიდან, იმ დასკვნამდე მიგვიყვანდა, რომ უპრიანი იქნებოდა, ღირსეულად აღნიშნულიყო საიუბილეო თარიღი – ე.შევარდნაძის დაბადებიდან 95-ე წლისთავი.

მაგრამ ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ... ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ასეა თუ ისე, შევარდნაძე ისტორიის კუთვნილებაა და ბანოჯის ორღობის თუ დაბოღმილ-დაბოლილი უზნეო ტიპაჟის საჭორაო მას არაფერი ჭირს.

ერთი რამ დღესავით ნათელია: ის დარჩა იმ ეპოქის ისტორიაში, რომელიც მდიდარია დიდი მიღწევებით თუ უმწარესი ჩავარდნა-შეცდომებით.

ამასთან, ვვარაუდობ და მჯერა, რომ რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი გახდება მისი დადებითი როლი საქართველოში დაბრუნების შემდეგ – 1990-იანი წლების „მხედრიონის“ საოთარეშო ქვეყნის აღმშენებლობით რელსებზე გადაყვანაში.

ერთი პაწია აღრინდელი პუბლიკაციით მინდა აღვნიშნო ეს დღე. უწინარესად, ოსტატური ფოტოსურათის გამო. მრავლისმეტყველია: წავიდა და... დარჩა!.

ასეა ეს!

2014 წლის 7 ივლისს, გარდაიცვალა ედუარდ შევარდნაძე, დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტი. ის ახლა ისტორიის კუთვნილებაა და მისი მოღვაწეობის ობიექტური და საფუძვლიანი შეფასების მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა.

დრო არის საჭირო, დრო, რომელიც ყველაფერს და ყველას, როგორც წესი, თავის დამსახურებულ ადგილს მიუჩენს.

მანამდე კი, ვიხსენებ შევარდნაძის „წასვლას“, რაც „რეპორტიორმა“ სულ პატარა წერილით და მრავლისმეტყველი ფოტოთი აღნიშნა. ასევე, „რეპორტიორის“ მეგობრებს ვურჩევ ნახონ „ნეო-სტუდიაში“ შექმნილი ფილმი – „წამი... წამება... წამიერება“. ღირს ამ ფილმის ნახვა.

რაც შეეხება ამ ფოტოს, მას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. იგი კრწანისის რეზიდენციაშია გადაღებული, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე...

ინტერვიუ დავამთავრეთ. შეუძლოდ მყოფმა მასპინძელმა არ უღალატა ჩვევას და კარებამდე მაინც მოგვაცილა, გამოგვემშვიდობა, შეტრიალდა და... თემაც მოულოდნელად დაიბადა: „შევარდნაძე მიდის!“

ამ კადრს პროფესიონალი კაცი ხელიდან არ გაუშვებდა. ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი ფოტოაპარატთან განუყრელად „მეგობრობს“. ჰოდა, „ვითარების“ ეს მოულოდნელი საჩუქარი მამაცაშვილმა ოსტატურად გამოიყენა და შევარდნაძის „წასვლის“ თემა ამ კადრით განივთდა...

მაშინ არ გამოვაქვეყნეთ, არ გვინდოდა ამ კადრისთვის სიმბოლური დატვირთვა მიგვეცა. მერე კი, „რეპორტიორის“ საიტზე იხილა მზის სინათლე ამ „მეტყველმა“ ფოტომ.

...შევარდნაძისთვის „წასვლა“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სხვათა შორის... მოსვლაც!

და მისი, როგორც პოლიტიკოსის „წასვლა-მოსვლა“ყოველთვის საკუთარ სურვილთან არ იყო დაკავშირებული. „ვითარება“ ნებსით თუ უნებლიეთ ქმნიდა არა მარტო შესაბამის ატმოსფეროს, არამედ „წასვლა-გაშვების“ ფორმამეთოდსაც, ყველა ეპოქა თავისი დამახასიათებელი მეთოდით იშორებდა თავიდან ამ კაცს; ზოგჯერ, თავად ინტუიცია აიძულებდა დაესწრო მოვლენისათვის, როცა იძულებით უნდოდათ „გაშვება“, თანაც ისე, ეფექტიანად დგამდა ამ „სპექტაკლს“ (გავიხსენოთ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტროზიდან მისი გადადგომა), რომ... პოლიტიკურ სცენაზე მისი დაბრუნება გარდუვალი იყო.

დაბრუნების ფორმაც ეპოქების შესატყვისი(!) გახლდათ და... ყველაფერი იწყებოდა თავიდან. მაგრამ, ბოლო წასვლამ – იძულებულმა, სხვის მიერ დადგმულმა „სპექტაკლმა“ ტრადიცია დაარღვია. უღალატეს არა მარტო „მის მიერ წამოჩიტულმა ბიჭებმა“, არამედ საკუთარმა, ლეგენდადქცეულმა ინტუიციამაც (რომელიც, ალბათ, მოადუნა ასაკმა და თვითდაჯერებულობამ) და „ძველ-ახალმა“ მეგობრებმა (რომელთა ერთგულება-მხარდაჭერას ცოტა გადაჭარბებულად აფასებდა და რომლებისთვისაც გეოპოლიტიკური თუ სხვა „ინტერესები“ ყოველთვის უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ადამიანური ურთიერთობები). ერთი სიტყვით, აქტიური პოლიტიკიდან მის საბოლოოდ გასაშვებად, „ვარდების რევოლუციის“ მოწყობა გახდა საჭირო.

მოვა დრო, ფარდა აეხდება ყველა საიდუმლოს, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო ამ სახელმწიფო გადატრიალებასთან, რომელიც შეიფუთა უფრო კეთილშობილური ჟღერადობის „ვარდების რევოლუციის“ სახელით, არამედ საქართველოს უახლეს, ბოლო 20-30 წლის მანძილზე განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებთან (სამხედრო პუტჩი, სამოქალაქო ომი, პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური მკვლელობები და სხვ.) ასევე, „ფარდის ახდასთან“ პირდაპირ იქნება დაკავშირებული ობიექტურობა(!) და სიღრმე(!) შევარდნაძის, როგორც პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის შეფასებაც. ბუნებრივია, ამ შეფასებაში იქნება ბევრი დადებითიც და არანაკლები ნეგატივიც.

ეს გარდაუვალია!

ისევე, როგორც გარდაუვალია ქართული პოლიტიკური (და არა მარტო) ტრადიცია ყველა და ყველაფერი ამოვსვაროთ ტალახში... მეოცე საუკუნის არც ერთი პოლიტიკური ლიდერი თუ თვალსაჩინო მოღვაწე არ დარჩენილა შეურაცხმყოფელი „იარლიყის“ გარეშე. არც ერთი! გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც შევარდნაძეა.

„ვარდების რევოლუციის“ ბელადებმა და აქტივისტებმა (ისევე, როგორც საზოგადოების სხვადასხვა პოლიტიკური შეფერილობის ჯგუფებმა), არ დააკლეს „მგელ ტოტიას“ ლანძღვა-გინება, ქილიკი (რაც არც დღესაა იშვიათობა), მაგრამ... ვერც აკაკის „გამზრდელი“ წააკითხეს განმეორებით და ვერც მისი გაჩუმება მოახერხეს. ის ყოველკვირეულად ესაუბრებოდა დაინტერესებულ საზოგადოებას გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან, რამდენიმე წიგნიც გამოუშვა, უმასპინძლა ბევრ უცხოელ პოლიტიკოსს თუ ჟურნალისტს, რომელთა ინტერესი პენსიაზე მყოფი ამ „პოლიტიკური დინოზავრისადმი“ სიცოცხლის ბოლომდე არ განელებულა.

მაგრამ, დრო თავისას შვება და... შევარდნაძეც წავიდა! სამუდამოდ!..

მაშინ ბევრს ეწყინა და არ დაიშურა თბილი სიტყვა! გასაცილებლად და პატივის მისაგებად ისინიც კი ჩამოვიდნენ, ვინც... გაწირა! არცთუ ცოტა-ავყიაობდა მაშინაც და ახლაც! ეს პროცესი კვლავაც დიდხანს გაგრძელდება.

პოლიტიკისთვის ეს პროცესი უცხო არ არის, როგორც ფრანგები იტყვიან, „სე ლა ვი!“ დიახ, მართლაც „ასეთია ცხოვრება“, მით უმეტეს, ისეთი რანგის პოლიტიკოსისთვის, როგორიც „შევი“ იყო: არც ქება, არც ლანძღვა, არც ნეიტრალიტეტი არაფერს შეცვლის! რაც იყო-იყო!

და მიუხედავად არაერთი, მეტნაკლებად სერიოზული ჩავარდნა-შეცდომისა, „მამათელი ბიჭის“ გრძელ და საინტერესო გზაზე იყო ისეთი წარმატებები, რომ მის პიროვნებას, მისი მონაწილეობით გადაჭრილ საერთაშორისო მაშტაბის პრობლემებს, მის სახელთან დაკავშირებულ მსოფლიო მოვლენებს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ობიექტური (!) მკვლევარი. შესასწავლი და გამოსამზეურებელი კი ცოტა როდია. მასალაც უამრავი, არქივი...

...და რა გასაკვირია, თუ მეოცე საუკუნის მსოფლიოს, ისევე როგორც კავკასიის რეგიონის ისტორია, ქართული გვარ-სახელის მქონე გამორჩეულ პოლიტიკოსთა შორის სტალინთან, ბერიასთან, გამსახურდიასთან ერთად, უყოყმანოდ დაასახელებს ედუარდ შევარდნაძეს!

არჩილ თალაკვაძემ სააკაშვილთან დაკავშირებით ლიზა იასკოს განცხადებას უპასუხა

PACE-ს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, სადაც ბელარუსის საკითხის განხილვა მიმდინარეობდა, ლიზა იასკომ გააკეთა განცხადება და კომიტეტის წევრებს მოუწოდა ყურადღება გაემახვილებინათ საქართველოზე, რადგან, მისი თქმით, იქ მიხეილ სააკაშვილი ჰყავთ უკანონოდ დაპატიმრებული და მისი უფლებები ირღვევა. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ წინა სესიაზე მიღებული რეზოლუციის შემდეგ ევროსაბჭოს კონკრეტული ქმედებები არ განუხორციელებია.

იასკოს განცხადებას უპასუხა არჩილ თალაკვაძემ, სადაც მან განაცხადა, რომ უნდა შეწყდეს სააკაშვილის საკითხზე არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რადგან რეალურად ის სასჯელს იხდის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის არსებობს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც იგივე გარემოებები უტყუარად დადასტურებულია.

თალაკვაძის თქმით, სააკაშვილი მოთავსებულია ერთ-ერთ საუკეთესო სამოქალაქო კლინიკაში და სახელმწიფოს მხრიდან არსებობს სრული მზადყოფნა ნებისმიერი ექიმის და სამედიცინო რესურსის ჩართვაზე, რომელსაც მისი ოჯახი დამატებით მოითხოვს. თალაკვაძემ განაცხადა, რომ ის, რაც წინა სესიაზე მოხდა, როცა სრულიად უსაფუძვლო და არაობიექტური ტექსტი სააკაშვილის შესახებ დაემატა რეზოლუციას, აღარ უნდა განმეორდეს, რადგან ეს არის აქ მყოფი დეპუტატების და საზოგადოების მოტყუება.

CV VICTIMS: საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ადასტურებს პოლიტიკურ ზეწოლას CREDIT SUISSE-თან სამართლებრივ დავაში

მსოფლიოს ევროპელი თაღლითები ღრღნიან!!!

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის საქმე, რომელიც შვიდ წელზე მეტია ჩართულია CREDIT SUISSE-ისა და მისი შვილობილი კომპანიების წინააღმდეგ მიმდინარე სამართლებრივ დავებში, ზართოდ გაშუქდა მედიის მიერ, მათ შორის შვეიცარიაშიც, სადაც კლიენტებთან ურთიერთობებისას მსჯავრდებულმა მენეჯერმა ჩაიდენა თაღლითობა და განახორციელა უკანონო მენეჯმენტი, – ამის შესახებ ვებგვერდზე CV Victims გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„ბ-ნი ივანიშვილი და მისი წარმომადგენლები რამდენიმე თვის განმავლობაში თავს არიდებდნენ საქმის შესახებ კომენტარის გაკეთებას იმ მიზეზით, რომ მოლაპარაკების ინიციატორი Credit Suisse იყო. თუმცა ახლა ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბ-ნი ივანიშვილი ამტკიცებს, რომ ბანკი ქმნიდა მოლაპარაკების ილუზიას და ბანკის ხელმძღვანელობა სავარაუდოდ განაგრძობდა პოლიტიკური ზეწოლის კამპანიას ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ.

ბ-ნი ივანიშვილის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც მოცემულია შემდეგი:

„მათ, ვინც თვალყურს ადევნებდა მოცემულ შემთხვევას, ახსოვთ, რომ 2022 წლის თებერვალში უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემდეგ Credit Suisse-თან გახანგრძლივებული დავა მალევე გასცდა სამართლებრივ ფარგლებს და პოლიტიკური სახე მიიღო. რამდენიმე კვირაში ბ-ნ ივანიშვილს პრობლემები შეექმნა როგორც თანხებზე წვდომასთან, ასევე ხელოვნების ნიმუშების და თვითმფრინავის მიღებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკითხი მოგვარდა იურიდიული გზით დიდი ძალისხმევის გამოყენებით, მთავარი პრობლემა, როგორიცაა თანხებზე წვდომა კვლავაც ძალაში რჩება და ამას განვიხილავთ როგორც არაფორმალურ სანქციებს. ეს თანხები არ არის დაკავშირებული შვეიცარიაში, ბერმუდისა და სინგაპურში მიმდინარე სამართლებრივ დავებთან, მაგრამ ეხება იმ თანხებს, რომლებიც გადაურჩა Credit Suisse-ის არასწორ მენეჯმენტს და თაღლითობას. ამ თანხების უმეტესი ნაწილი გადაირიცხა სხვა შვეიცარიულ ბანკში, მაგრამ დაახლოებით 5% ფორმალური მოთხოვნის საფუძველზე დარჩა Credit Suisseში მიმდინარე დავების ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნული აქტივები იმართებოდა და იმართებოდა ორი ტრასტის, ფინანსური სტრუქტურის მეშვეობით, რომლებსაც რეკომენდაცია ბ-ნი ივანიშვილისთვის Credit Suisse-მა გაუწია. ერთი ტრასტი მდებარეობს სინგაპურში, ხოლო მეორე ტრასტი გერნსის კუნძულების იურისდიქციაში იმყოფება (ექვემდებარება ბრიტანეთს) და ეს უკანასკნელი მართავს დარჩენილ თანხებს Credit Suisse-ში. გასათვალისწინებელია ნიუანსი, რომ ბანკის თანხმობის გარეშე ტრასტის დახურვას დასჭირდება რთული იურიდიულ პროცედურა და მიუხედავად იმისა, რომ აქტივების უმეტესი ნაწილი გადაეცა სხვა ბანკს, ტრასტს მაინც მართავს Credit Suisse-ის მიერ დანიშნული რწმუნებულები და თანხის გადახდა ბენეფიციარების სურვილის შესაბამისად მიმდინარეობდა. თუმცა, უკრაინაში კონფლიქტის დაწყების დღიდან ბენეფიციარებს შეექმნათ სერიოზული დაბრკოლებები, მათ შორის გადახდების შეფერხება და თანხებზე წვდომის სრული დაბლოკვა. ბ-ნი ივანიშვილი ამტკიცებს, რომ ეს ქმედებები წარმოადგენს არაფორმალურ სანქციებს“.

მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურსა და ბერმუდში სასამართლოები გრძელდება, დავა ორივე იურისდიქციაში გახანგრძლივებული ხასიათისაა: სარჩელი ბერმუდის კუნძულებზე 2016 წელს იქნა წარდგენილი, ხოლო იურისდიქციის საბოლოო განსაზღვრა სინგაპურში 2020 წლის მარტში დადასტურდა. ამგვარად, წარდგენის საბოლოო ეტაპი, სადაც მხარეები განიხილავდნენ ახალ ფაქტებს, მტკიცებულებებსა და პრეტენზიებს, წარდგენილი იყო 2021 წლის ნოემბერში. შესაბამისად, ბ-ნ ივანიშვილს აცნობეს, რომ თანხებზე წვდომის საკითხი მიმდინარე დავების ფარგლებში სასამართლოს აღარ წარედგინება. მიუხედავად ამისა, სინგაპურის სასამართლო სხდომაზე 2022 წლის სექტემბერში ბ-ნი ივანიშვილი გამოცხადდა მოწმის სახით და განაცხადა, რომ Credit Suisse არა მხოლოდ აიძულებდა მას წლების განმავლობაში წარედგინა მოთხოვნები სხვადასხვა იურისდიქციაში თანხების თაღლითობისა და არასწორი მენეჯმენტის შესახებ, არამედ Credit Suisse-მა არ შეიტანა გადასახადი ჟენევის სასამართლოს ბრძანების დარღვევის გამო, რომელიც ეხებოდა კლიენტებთან ურთიერთობების მენეჯერის სისხლის სამართლის 2018 წლის საქმეს. უფრო მეტიც, Credit Suisse-მა შეზღუდა წვდომა დარჩენილ თანხებზე, რომლებიც ბანკიდან იყო გამოტანილი და რომელიც რჩება Credit Suisse-ის მიერ დანიშნული რწმუნებულების მენეჯმენტის ქვეშ.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ Credit Suisse-ს დაუსვა კითხვა, თუ რატომ არ გადაეგზავნა კლიენტს არასადავო თანხები. ამ გასაუბრების შემდეგ Credit Suisse-მა წამოიწყო მოლაპარაკებები ბ-ნ ივანიშვილთან და ამ პროცესის განმავლობაში მათ უკან დაუბრუნეს შვეიცარიის სასამართლოს მიერ სამი წლის წინ დაკისრებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი. 2022 წლის დეკემბერში ბ-ნ ივანიშვილს გადაუხადეს დარიცხული პროცენტი ზემოთ აღნიშნული თანხის დაგვიანებით გადახდის გამო და ბანკმა ასევე გადაიხადა ის თანხა, რასაც Credit Suisse-ის სინგაპურის trust არ ედავებოდა. მას შემდეგ ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეს გადახდები იყო Credit Suisse-ის მხრიდან ილუზიური მცდელობა, ემოქმედა კეთილსინდისიერად სასამართლოს წინაშე დადებითი იმიჯის შესაქმნელად და მიიჩნევს, რომ ყველა ილუზია დასრულდა.

2022 წლის 14 დეკემბერს ევროპარლამენტმა კენჭი უყარა რეზოლუციას, რომელიც რეკომენდაციას უწევდა ბ-ნი ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას, მაგრამ არ იქნა მიღებული ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოების მიერ. აქედან გამომდინარე, Credit Suisse-მა განახორციელა კლიენტისთვის ბოლო გადარიცხვები და ახლა აცხადებს, რომ მოვლენების ასეთმა განვითარებამ ხელი შეუშალა Guernsey-ის ტრასტთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ამ მოთხოვნას აძლიერებს ის ფაქტი, რომ აქტივები გადარიცხული იყო Credit Suisse-დან და ბანკი და მისი დანიშნული რწმუნებულები არ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი ბენეფიციარების ინსტრუქციების არ შესრულებაში. შედეგად, ბ-ნი ივანიშვილი აღიქვამს ამ ხელისშემშლელ ქმედებას, როგორც „პოლიტიკურ ზეწოლას“, ისევე, როგორც ეს იყო მარტში, როდესაც Credit Suisse-მა განაცხადა, რომ თანხების გაცემის შეფერხება გამოწვეული იყო „აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკური ვითარებით“.

ბ-ნი ივანიშვილი ამტკიცებს, რომ Credit Suisse-ს აქვს გამოცდილება, გამოიყენოს ევროპარლამენტის რეზოლუციების პროექტები Guernsey Trust-ისგან თანხების გაცემის შეფერხების გასამართლებლად. პირველი მათგანის შემდეგ, 2022 წლის 9 ივნისს, Credit Suisse-მა განაცხადა, რომ trust-ს არ შეეძლო თანხის გაცემა; თუმცა ევროსაბჭოს ივლისის სხდომაზე რეზოლუცია არ იყო მიღებული და არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი იმისა, თუ რატომ ვერ მოხერხდებოდა ამის გაკეთება. აქედან გამომდინარე, გერნსის სასამართლოში შეტანილი იქნა განცხადება ტრასტის აქტივების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ერთდღიანი მოსმენა არაერთხელ გადაიდო და მიუხედავად იმისა, რომ მოსმენა დაგეგმილია მარტისთვის, ბ-ნ ივანიშვილს მიაჩნია, რომ თარიღი კვლავ გადაიდება. აქედან გამომდინარე, მოლაპარაკებების დროს ბ-ნი ივანიშვილის წარმომადგენლებმა შესთავაზეს გერნსის ტრასტის მიერ გაყინული თანხის საკითხის მოგვარება მოკლე დროში სასამართლოს ჩარევის გარეშე, მაგრამ ეს შეთავაზება არ იქნა მიღებული.

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ტრასტების მენეჯმენტის არათანმიმდევრულობა. როგორც მტკიცდება, ერთ-ერთი ტრასტი არ ახორციელებს დისტრიბუციას და აიძულებს მენეფიციარებს, მოითხოვონ გადახდის მიღება სამართლებრივი გზით, ამავე დროს რწმუნებულები მიუთითებენ ევროპარლამენტის ივნისის რეზოლუციაზე, ხოლო მეორე ტრასტს შეუძლია თანხების გაცემა მენეფიციარებისთვის საჭიროებისამებრ, შემდგომი დეკემბრის რეზოლუციის მიუხედავად და ეს აშკარად არ წარმოადგენდა პრობლემას Credit Suisse-ის მენეჯმენტისთვის. ეს ამტკიცებს, თუ რა არის ევროპარლამენტის რეზოლუციის რეალური „ფასი“ და „კრედიტ სუისმა“ იცის ეს „ფასი“. ბანკის მხრიდან მართებული იქნებოდა, პირველ შემთხვევაში ისევე მოქცეულიყო როგორც მეორე შემთხვევაში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ სინგაპურის სასამართლოზე უარყოფითი შთაბეჭდილების თავიდან აცილების მიზნით შეიძლებოდა ორივე დადგენილების იგნორირება.

ბიძინა ივანიშვილის მტკიცებით ეს ადასტურებს, რომ Credit Suisse-ის პოლიტიკური ზეწოლის კამპანია გრძელდება და აქედან გამომდინარე ბ-ნი ივანიშვილი და მისი მრჩეველები ახლა განიხილავენ კამპანიის წარმართვის შესაძლებლობას სიტუაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით და ასევე განიხილავენ მტკიცებულებების გამოქვეყნებას იმის შესახებ, თუ როგორ დააზარალა, მისი აზრით, ბანკის რეპუტაცია და თავად შვეიცარიის იმიჯი Credit Suisseის ხელმძღვანელობამ“, – აღნიშნულია სტატიაში.

CV Victims Credit Suisse-ი გარკვეული კლიენტების წარმომადგენლების მიერ შეიქმნა. ისინი 7 წლის განმავლობაში ბანკის პერსონალის მიერ ჩადენილი დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ღირებულების თაღლითობის მსხვერპლნი არიან. Credit Suisse-ის მინიმუმ ერთი თანამშრომელი ნასამართლევია თაღლითობისთვის და FINMA-მ გამოავლინა Credit Suisse-ის სისტემებისა და კონტროლის საშუალებების გაუმართაობა, რამაც პირდაპირ გამოიწვია ჩადენილი დანაშაული.

იბეჭდება იმ მკითხველთა თხოვნით, რომლებიც ინტერნეტს ჯერ კიდევ ვერ და არ მოიხმარს!

ქართული ესტრადისა და ფოლკლორის ხელშეწყობის მიზნით...

საქართველოს კულტურის სამინისტრომ კონკურსი „ქართული ესტრადა და ფოლკლორი რეგიონებში – ხელშეწყობა საგასტროლო ხარჯებით“ გამოაცხადა.

„სამინისტროს მიერ კონკურსისთვის გამოყოფილი მიუჯეტი 500 000 ლარია და მისი მიზანია რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურება და მისთვის საყოველთაო ხასიათის მიცემა; ასევე, მუსიკოს-შემსრულებელთა, შემოქმედებითი ჯგუფებისა და ანსამბლების საქმიანობის ხელშეწყობა, კერძოდ, რეგიონებში ქართული ესტრადისა და ფოლკლორული კონცერტების გამართვის წახალისება და საგასტროლო ხარჯებით უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს კონკურსის მიუჯეტი შეადგენდა 500 000 ლარს და მის შედეგად განხორციელდა 11 პროექტი, რომელთა ეგიდითაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სოფელსა თუ დაბაში 32 კონცერტი გაიმართა, ღონისძიებებში მონაწილეობა კი 192-მა ხელოვანმა მიიღო.

ამჟამად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს. კონკურსანტს კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება პროექტს, რომლის ფარგლებშიც:

ა) კონცერტები გაიმართება ორ ან მეტ ადმინისტრაციულ-გეოგრაფიულ პუნქტში;

ბ) კონცერტები გაიმართება პატარა და საშუალო დასახლებებში (სოფელი, დაბა, პატარა ქალაქი და სხვა).

საკონკურსო განაცხადები მიიღება 2023 წლის 25 იანვრიდან 2023 წლის სამი თებერვლის 12:00 საათამდე კულტურის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი სანაპიროს ქ. №4, მატერიალური სახით, ან სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@culture.gov.ge, ელექტრონული დოკუმენტის სახით, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, ორგანიზაციის მეჭდით დამოწმებული (მეჭდის არსებობის შემთხვევაში) და დასკანერებული.

კონსულტაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონის ნომერზე: 599 310 303 (სამუშაო საათების განმავლობაში).

ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 3 ივნისის №7864 ბრძანებით „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიების/პროექტების ხელშეწყობის პირობების და დაფინანსების წესის შესახებ“ დამტკიცებული დაფინანსების წესი, ფორმულარები და საკონკურსო პირობები იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

დაფინანსების წესი – https://cutt.ly/,PGB6Oh
ფორმულარები – https://cutt.ly/ePGNsau
საკონკურსო პირობები – https://cutt.ly/X9xoJPr4.

ნინოობას გილოცავთ!

ქართველთა განმანათლებელი მოციქულთა სწორი ქალწული ნინო

27 იანვარს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, ჩვენს წმიდა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.

საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა რგებოდა საქადაგებლად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხვდა იბერია, მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ დააპირა საქართველოსკენ წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ განეშორები ეფრუსალიმს. ხდომილი ქვეყანა შენი განათდების მომავალში, შენი მეუფეგა განემტკიცების იქ“.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მარიამმა გამოარჩია კეთილმოსურნე კაბადოკიელი ასული ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

ცნობილია, რომ ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება – ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“. შემდეგ ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა მას და დასძინა: „ეს იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ... ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩემისას, უფლისა ჩვენი იესო ქრისტესი“.

...ნინოს გაეღვიძა. მას სწორედ ის ჯვარი ეპყრა ხელთ, რომელიც ძილში მისცა ღვთისმშობელმა.

ამ დღესასწაულზე წმინდა ნინოს ჯვარს გამოაბრძანებენ საკათედრო ტაძრიდან, სამების ტაძარში დააბრძანებენ, რათა მრევლი ეამბოროს და თაყვანი სცეს ნინოს ჯვარს.

გიული ლიპარტია

ანსამბლი „აფხაზეთი“ საუდის არაბეთის სამეფოში საერთაშორისო ფესტივალზე წარსდგა

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“ საუდის არაბეთის სამეფოში სამთო წარმოდგენისა და ხელოვნების ქემამის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, ფესტივალი საუდის არაბეთის ასირის პროვინციაში 20 იანვარს დაიწყო და მასში 14 საერთაშორისო და 16 ადგილობრივი ანსამბლი მონაწილეობდა.

„ბაჩანა ჭანტურიას ხელმძღვანელობით „აფხაზეთი“15 მოცეკვავის შემადგენლობით წარსდგა მაყურებლის წინაშე. ქართველ ხელოვანთა წარმოდგენას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე და საქართველოს ელჩი საუდის არაბეთის სამეფოში ვახტანგ ჯაოშვილი ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს „აფხაზეთი“ დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ანსამბლმა ღონისძიებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საუდის არაბეთის სამეფოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს საელჩოების მხარდაჭერით მიიღო მონაწილეობა“.

გამოიცა საიუბილეო კრებული „კრიტიკა ცისკარში“

24 იანვარს მწერალთა სახლში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ჟურნალ „ცისკრის“ 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულის, „კრიტიკა ცისკარში“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებული საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა. მასში თავმოყრილია ჟურნალ „ცისკარში“ 1957-1980 წლებში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი კრიტიკულ-ესეისტური წერილები.

გამოცემა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც ხელს შეუწყობს ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას, როგორიც არის ლიტერატურული კრიტიკა. საიუბილეო კრებულის გარდა, საქართველოს კულტურის სამინისტრო ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და პერიოდული ლიტერატურული გამოცემების ხელშეწყობის მიზნით, ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემასაც აფინანსებს. კრებულის პრეზენტაციას კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

„ამ კრებულმა დიდი მოწონება იმით დაიმსახურა, რომ ის დაეთმო „ცისკარში“ წარსულში, საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს, და არა მხოლოდ კრიტიკულ წერილებს, სხვადასხვა კრიტიკოსებს შორის პოლემიკასაც. ამას ისტორიული მნიშვნელობაც აქვს და დღეს ვნახეთ, რომ ყველა იყო ამ პროექტის უკიდურესად მოხარული. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ, ახალ კრებულადაც გამოვცეთ „ცისკარში“ 1980 წლის მიღმა გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებიც“, – განაცხადა კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

„მოგეხსენებათ, კრიტიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის განვითარებისთვის, საზოგადოდ, ლიტერატურის არსებობისთვის. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, კრიტიკა დაფასებაც არის, განჩხრეკაცო. კრიტიკული აზრის გარეშე ლიტერატურის განვითარება წარმოუდგენელია“, – აღნიშნა „ცისკრის“ რედაქტორმა, ამირან გომართელმა.

„ქართული მოდის ისტორია“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიკოს გიორგი კალანდიას წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. 400-გვერდიანი ილუსტრირებული ენციკლოპედია, სახელწოდებით **„ქართული მოდის ისტორია“**, მკითხველს საშუალებას აძლევს გაეცნოს საქართველოში ქსოვილისა და სამოსის გაფორმების ევოლუციას, უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე. ნაშრომში გამოყენებულია 3000-ზე მეტი ილუსტრაცია. წიგნის წარდგინებას დაესწრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია, რომელმაც უნიკალური გამოცემის სამეცნიერო მნიშვნელობაზე ისაუბრა და ავტორს საეტაპო ნაშრომის გამოცემა მიულოცა.

„თითქმის მოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსგავსი გამოცემა საქართველოში არ შექმნილა, ქართული მოდის ისტორიის მიმართულებით. მეტიც, ამ ნაშრომს აქვს ძალიან დიდი სამეცნიერო დატვირთვა. მასში არის განხორციელებული მცდელობა სამოსის რეკონსტრუქცია, რაც ძალიან საინტერესოა ისტორიკოსებისთვის, ეთნოლოგებისთვის, სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებისთვის“, – განაცხადა რექტორმა.

ნაშრომის შექმნის მიზანზე და მნიშვნელობაზე ისაუბრა ავტორმა გიორგი კალანდიამ და გუნდის წევრებს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის.

„საგულისხმოა, რომ ქართული ისტორიული დოკუმენტები, ფრესკები, ჩვენამდე მოღწეული ხელოვნების ნიმუშები, აზიურ და ევროპულ გავლენებს, წარსულის გამოწვევებსა და თვითმყოფად ქართულ კულტურას ყველაზე ნათლად წარმოგვიჩენენ. განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ქსოვილისა და სამოსის ფორმირების მრავალსაუკუნოვანი გზა, რომელიც წიგნშია წარმოდგენილი და საქართველოს ისტორიის ყველა ნაწილს აერთიანებს“, – აღნიშნა წიგნის ავტორმა გიორგი კალანდიამ.



აღსანიშნავია, რომ ალბომში ძირითადად თავმოყრილია საქართველოს ხელოვნების სასახლეში დაცული ქსოვილისა და კოსტიუმების კოლექციის ძვირფასი ნიმუშები. ღონისძიების დასასრულს, ავტორმა წიგნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა. წიგნი საქართველოს ხელოვნების სასახლემ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და „თიბისი ბანკის“ თანადგომით გამოსცა.

„ლაგუნა ვერე“ და მისი მიმდებარე ტერიტორია მალე დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო მიზიდულობის ცენტრი გახდება!

თბილისის მერიაში 25 იანვარს მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ „ლაგუნა ვერე“ საკუთრებაში მუნიციპალიტეტს გადაეცემა და ინფრასტრუქტურა სრულად აღდგება.

„ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიისა და მიმდებარე არეალის განაშენიანება-მოწესრიგებასთან დაკავშირებით, მინდა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მივაწოდო ინფორმაცია. მესმის, პროექტთან დაკავშირებით პოლიტიკურად ანგაჟირებული საზოგადოების რეაქცია და ამის მიზეზი ყველასთვის გასაგებია, მაგრამ ფაქტი არის ის, რომ ამ ტერიტორიის მოწესრიგება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალაქისთვის. ეს იქნება ძალიან კარგი პროექტი და დედაქალაქში ახალი მიზიდულობის ცენტრი გაჩნდება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად ნარჩუნდება „ლაგუნა ვერეს“ ინფრასტრუქტურა და მეტიც - ტერიტორია საკუთრებაში გადაეცემა მუნიციპალიტეტს. მინდა, მადლობა გადავუხადო ბიძინა ივანიშვილს, საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“ ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ჩვენ კი ამ სივრცეს მოვაწესრიგებთ და მოსახლეობასთან ერთად განვსაზღვრავთ, როგორ უნდა წარიმართოს პროცესი. მოვიწვევთ არქიტექტორებს, დიზაინერებს და პროცესში საზოგადოებაც ჩართული იქნება. რაც შეეხება მერიის გეგმებს ამ ობიექტთან დაკავშირებით, მას მოგვიანებით კიდევ უფრო დეტალურად გაგაცნობთ“...

მისივე თქმით, „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ არსებული აბრეშუმის ქარხნის ძველი შენობა არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თუმცა, შენარჩუნდება და შეერწყმება დაგეგმილ განაშენიანებას.

„რაც შეეხება დანარჩენ ტერიტორიას, აქ დგას აბრეშუმის ქარხნის ძველი შენობა, რომელიც, მართალია, არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თუმცა, ქმნის თბილისის ერთგვარ ისტორიულ სახეს. შესაბამისად, გეგმარებისას გაითვალისწინეს ეს ფაქტორი და შენობა არა მარტო შენარჩუნდება, არამედ შეერწყმება დაგეგმილ განაშენიანებას. ასევე, მნიშვნელოვანია მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება სატრანსპორტო კუთხით. იცით, რომ აქ განთავსებულია ბენზინგასამართი სადგურები და ავტოტექმომსახურების პუნქტები, შესამამისად, ვმუშაობთ, რომ მოწესრიგდეს ეს სივრცე, ასევე, საფეხმავლო და მიწისქვეშა გადასასვლელი სივრცეები. უკვე დამუშავებულია რამდენიმე ვარიანტი, პროცესში ჩართული იყვნენ არქიტექტორები და სამოლოოდ შემუშავდა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

* * *

კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ ვაკის პარკში, ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობის მცდელობისთვის დახვრეტილი გმირების შესახებ საინფორმაციო მემორიალი განთავსდება.

„2023 წლის მაისში 100 წელი სრულდება ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობის მცდელობისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის წევრების – კოტე აფხაზის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, ვარდენ წულუკიძის, როსტომ მუსხელიშვილის, გიორგი ხიმშიაშვილის და სხვათა დახვრეტიდან. ისინი შეეწირნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლას. მრავალი წელი მათი ხსენებაც კი აკრძალული იყო და ძირითადად საიდუმლოდ, თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამ სამაგალითო გმირობის ამბავი. პრემიერ-მინისტრს აქვს კარგი ხედვა ამასთან დაკავშირებით, რასაც ვიზიარებთ. გვინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ პატივისცემა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველი მამულიშვილების მიმართ, რათა ყველამ იცოდეს მათი ბრძოლის, თავგანწირვისა და თავისუფლებისკენ დაუღალავი სწრაფვის ისტორია. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ვაკის პარკში განთავსდეს საინფორმაციო მემორიალი“... პროექტში საქართველოს საპატრიარქოც არის ჩართული.

* * *

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა ყურადღება ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამაზეც გაამახვილა. კერძოდ, აღინიშნა, რომ თბილისის მერია ისტორიულ უბნებში ავარიული შენობების პრობლემის მოგვარებაზე მუშაობას იწყებს.

„დედაქალაქში 10 000-მდე შენობა-ნაგებობა გვაქვს სხვადასხვა კატეგორიის ავარიულობის ხარისხით. როგორც მოგეხსენებათ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომლის ინიცირება ასევე ჩემი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოხდა, არის ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა. დაწყებულია ერთი საპილოტე პროექტის განხორციელება და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ამავე დროს, 25 საცხოვრებელ კორპუსზე მიმდინარეობს მოკვლევა სხვადასხვა ეტაპზე. ზოგ პროექტზე მიმდინარეობს სამშენებლო ნებართვის პროცედურები, ზოგან მზადდება პროექტი, თუმცა, გვაქვს ერთი პრობლემა: ავარიული სახლების ჩანაცვლება არ არის გათვალისწინებული ისტორიულ უბნებში. ვინაიდან ამ უბნებში განაშენიანების პარამეტრები მკაცრად არის შეზღუდული, აღნიშნულ არეალებში წესიდან გამონაკლისია დადგენილი. ის მიდგომები, რაც გვაქვს სხვადასხვა უბანში, რაიონსა და ჩვეულებრივ სივრცეში, ისტორიულ უბნებში არ გამოიყენება“.

დედაქალაქის მერმა ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძეს აღნიშნულ პროცესში თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებისა და გამგეობების ჩართვა სთხოვა.

„დავდოთ კონკრეტული პროგრამა, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. ძალიან ბევრი წერილი შემოდის მუნიციპალიტეტში იმასთან დაკავშირებით, რომ ისტორიულ უბნებში ავარიული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას ადგილობრივი მცხოვრებლები ვერ ახერხებენ და მოგვმართავენ ჩვენ. ცხადია, მუნიციპალიტეტი ყველა ავარიული სახლის განახლება-რეაბილიტაციას ვერ შეძლებს, იმიტომ, რომ ძალიან დიდი რაოდენობაა. ამიტომ, აუცილებელია, შეიქმნას კონკრეტული პროგრამა, სადაც მიზნესის ჩართულობით, შესაძლებელი იქნება აღნიშნული ცვლილებების განხორციელება –ამ სივრცეების მოწესრიგება და რეაბილიტაცია. მესმის, რომ ეს საცხოვრებელი სახლები არის კერძო საკუთრება, მაგრამ ყველას არ აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს საკუთარი უძრავი ქონების კაპიტალური რეაბილიტაცია-რესტავრაცია. ამიტომ, გავალებთ, რომ მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრამა შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ადამიანებს, მერიასთან თანამშრომლობით და კოორდინაციით, საცხოვრებელი გარემო გაიუმჯობესონ“...

* * *

თბილისის მერმა უსახლკაროების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების პროგრამაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა გასულ წელს ფართები 56 ოჯახს გადასცა. დღეის მდგომარეობით, ფართებით 378 ოჯახი რჩება დასაკმაყოფილებელი.

მისი თქმით, უსახლკაროს სტატუსის მისაღებად, მოქალაქეებმა მერიის შესაბამის სამსახურებს უნდა მიმართონ. გარდა ამისა, დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით, 200 000-ს არ აღემატება, მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა წელსაც გრძელდება.

პროგრამით გასულ წელს 21 034-მა პენსიონერმა ისარგებლა და 8 842 176 ლარის ღირებულების მედიკამენტი დაფინანსდა.

„პროგრამა, რომელიც გასულ წელს დავიწყეთ, წელსაც გრძელდება და სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ამ მიზნით, ყოველწლიურად, არამატერიალიზებული 500 ლარის ღირებულების ვაუჩერი გაიცემა. 2022 წელს აღნიშნული პროგრამით 21 000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა“, – განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ შესაბამისი სოციალური სარეიტინგო ქულების მქონე საპენსიო ასაკის პენსიონერებს მოუწოდა, აღნიშნული პროგრამით ისარგებლონ. საუბრის დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი თანამშრომელი - ნანა ჯორბენაძე წარუდგინა, რომელიც თბილისის №35 სბავშვო ბაგა-ბაღის ერთ-ერთი საუკეთესო აღმზრდელია.

2022 წელს საქართველომ 904 მილიონი დოლარის „სხვისი“ მანქანები გაყიდა!!!

ორი მიზეზი, თუ რატომ გაძვირდა მანქანები საქართველოში

ბოლო რამდენიმე წელიწადში ავტომანქანების ღირებულება მინიმუმ 20 პროცენტით არის გაზრდილი. რუსეთისთვის დაწესებული სანქციები და პანდემია – მიზეზებზე საუბრისას იმპორტიორები ამ ორ მიზეზს ასახელებენ.

ირაკლიმ თავის პირველ მანქანაში 2015 წელს 2600 დოლარი მისცა. ორი წელი ატარა და 1000 დოლარით ძვირად გაყიდა.

„2019 წელს „ტოიოტა აკვა“ მყავდა, მაშინ 4 000 დოლარი ღირდა, ახლა 6 000 დოლარი მაინც ღირს. ყველა ასეთი მანქანა, რომელიც 10 000 დოლარამდე ჯდებოდა, 1500-2000 დოლარით მაინც არის გაძვირებული. ახლა მანქანა რომ იყიდო, სულ მცირე 7 000 დოლარი გინდა“, - ამბობს ირაკლი.

მანქანების გაძვირება რამდენიმე წლის წინ დაიწყო, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით, მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე საბაჟო გადასახადი გაიზარდა. კარგად შენახული, იაპონური მანქანები 1700-2000 დოლარი ჯდებოდა და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო.

„ბაზარი მთლიანად ამერიკულ მანქანებზე გადავიდა. ამერიკული მანქანების 99% კი დაზიანებული, დამტვრეულია. მათ შესაკეთებლად ნაწილები აზიიდან უნდა ჩამოიტანო, აქაც გაიზარდა ტრანსპორტირების ფასი. ხელოსნებიც აღარ ჰყოფნიდა მანქანების შეკეთებას და მომსახურების ფასმაც აიწია“, – ამბობს კომპანია „იამატოს“ მმართველი პარტნიორი პაატა მაისურაძე.

2020 წელს ბევრი ელოდა, რომ პანდემიის გამო მანქანებზე ფასები დაიკლებდა, მაგრამ პირიქით მოიმატა. პანდემიის დროს დაწესებულმა შეზღუდვებმა ავტომობილების წარმოება შეაფერხა. მოთხოვნა გაიზარდა მეორეულ მანქანებზე, ანუ სწორედ იმ სეგმენტზე, რომელიც საქართველოს აინტერესებდა. გაძვირდა მანქანების ჩამოყვანაც.

„ახლა 20 პროცენტით მაინც არის გაზრდილი ფასები, თუ მეტით არა. გააჩნია მოდელს. დღეს ძირითადად მაინც ჰიბრიდებზე, ეკონომიურ მანქანებზეა მოთხოვნა“, – გვიხსნის პაატა მაისურაძე.

კომპანია „კავკასიის ავტოიმპორტის“ მარკეტინგის მენეჯერი იოსებ რეხვიაშვილი ამბობს, რომ პანდემიის დროს დარღვეული მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვი ბოლომდე დღემდე არ აღმდგარა: **„კომპანიებმა რომ დაიწყეს ახალი ავტომობილების წარმოება, ამერიკაში ფასებმა მცირედით, მაგრამ მაინც დაიწია. მაგრამ ეს ყველა მოდელს არ ეხება“.**

* * *

იმპორტიორები ამბობენ, რომ უკრაინაში ომის დაწყების და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შემდეგ საქართველოდან მეზობელ ქვეყნებში ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა.

„მოთხოვნა ისეთ ქვეყნებში გაიზარდა, საიდანაც არაოფიციალურად მანქანები რუსეთში გადაჰყავთ, მაგალითად, სომხეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთში. ჩვენ ყველანაირად ვემიჯნებით ამ სიტუაციას, მაგრამ მეზობელ ქვეყნებში მოთხოვნა რომ გაზრდილია, ამას ვხედავთ, – ამბობს იოსებ რეხვიაშვილი, – აღრე საქართველოში „ჰუნდაი ელანტრას“ 5-6 000 დოლარად იყიდდი, ახლა 10 000 დოლარი ღირს. ძვირიან მანქანებზეც მატულობს ფასები, აქაც რუსეთის გამო. ცდილობენ, უფრო ახალი მანქანები გადაიყვანონ რუსეთში. თუ ადრე ცენტრიდან გამოყვანილი G კლასის „მერსედესი“ 150 ათასი დოლარი ღირდა, ახლა იგივე მანქანა, გამოყვანილი და ცოტა ხანს ნატარები, 200 ათასი დოლარი ღირს“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს საქართველოდან ექსპორტზე 904 მილიონი დოლარის ღირებულების მანქანა გავიდა, რაც მთლიანი ექსპორტის 16 პროცენტია. ასევე სტატისტიკური მონაცემებით, 2022 წელს რუსეთში გავიდა 75 620 მილიონი დოლარის ავტომობილი, რაც წინა წელთან შედარებით 4-ჯერ მეტია.

თეა თოფურია,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

არ გრცხვენიათ, თქვე მართლა კვერცხებო?!,

მთლად „უკრაინელ“ სააკაშვილს დაემსგავსეთ!?

(პირველი გვერდიდან)

აღსანიშნავია, რომ კორუფციის პრობლემა ყველა ქვეყანაშია და განსაკუთრებით საომარი მოქმედების პერიოდში. გამონაკლისი არც უკრაინაა, რომელიც ომის დაწყებამდე გამოირჩეოდა კორუფციული ინდექსით, თუმცა ომის დამწყების შემდეგ კორუცია უფრო მასშტაბური გახდა ყველა მიმართულებით. მაშინ, როდესაც უკრაინის ხელისუფლება აშშ-სა და ევროპისგან შეიარაღების დროულად მიწოდებას ითხოვს, ამერიკული ჯავშანჟილეტები სამხედრო ნაწილების ნაცვლად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიებში ხვდება, რომლის ღირებულება 12 500 გრივნაა.

გარდა ამისა, დასავლელი ანალიტიკოსები წერენ, რომ უკრაინისთვის განკუთვნილი იარაღი შავ ბაზარზე ხვდება და ამაში უკრაინელი მაღალჩინოსნები არიან ჩართული. გარდა ამისა, რომ მიმდინარეობს იარაღით ვაჭრობა, უკრაინული მედიის ცნობით, ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო სამხედროებისთვის განკუთვნილ პროდუქტებს ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით ორ-სამჯერ უფრო ძვირად ყიდულობს.

მაგალითისთვის, ერთი კვერცხის ღირებულება მაღაზიაში 7 გრივნაა, როდესაც თავდაცვის სამინისტროს ერთი კვერცხის ღირებულებად 17 გრივნა მოჰყავს. ერთი კილოგრამი კარტოფილის შესყიდვა 22 გრივნადაა დაგეგმილი, როდესაც ბაზარზე მისი ფასი 8-9 გრივნაა. სკანდალურ ტენდერს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, **ვიაჩესლავ შაპოვალოვი** ხელმძღვანელობდა, რომელმაც თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა. შაპოვალოვმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო უკრაინის შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკურ უზრუნველყოფაზე, ადვილად შესაძლებელია სამინისტროდან უკრაინის ციხეში გადაინაცვლოს. უკრაინის ხელისუფლებაში კორუფცია ამით არ ამოწურულა, ქვეყნის დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის განკუთვნილი თანხების მითვისების ბრალდებით უკრაინის რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრის მოადგილე, **ვასილ ლოზინსკი** დააკავეს.

ლოზინსკის ბედს გაიზიარებს საწვავისა და ენერგეტიკის მინისტრი **გერმან გალუშჩენკო**, სპორტის მინისტრი **ვადიმ ჰუტცაიტსი**, მრეწველობის სტრატეგიული სფეროების მინისტრი **პაველ რიაბიკინი** და ვეტერანების საკითხთა მინისტრი. უკრაინული მედია წერს, რომ მინისტრთა კაბინეტში საკადრო ცვლილებებზე საბოლოო გადაწყვეტილებას უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი და პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი, **ანდრეი ერმაკი** უახლოეს დღეებში მიიღებენ.

თანამდებობა დატოვა პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილემ, **კირილო ტიმოშენკომ**, ასევე სუმის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქების სამხედრო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებმა. ყველა მათგანი კორუფციულ სქემაში იყვნენ ჩართული.ფრაქცია „ხალხის მსახურის“ ლიდერი, უკრაინელი დეპუტატი **დავით არახამია** აცხადებს, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკები პასუხს აგებენ.

მისი თქმით, 24 თებერვლიდან ხელისუფლება ოფიციალური და არაოფიციალური არხებით მუდმივად მოუწოდებს ყველა დონის ჩინოვნიკებს, ფოკუსირებული იყვნენ ომზე, დაეხმარონ დაზარალებულებს, შეამცირონ ბიუროკრატია და შეწყვიტონ საეჭვო საქმიანობა, მაგრამ ეს ბევრმა ვერ გაიგო.

„მართლაც, ამ გაზაფხულზე ყველა დამნაშავეს აუცილებლად ჩავსვამთ. არ გამოდის ადამიანურად, მოხდება ომის კანონების მიხედვით. ზოგიერთმა გონება დაკარგა და მოროდიორობს შიშისა და სინანულის გარეშე. ამიტომ, ეს კვირა იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებების დრო“, – აცხადებს **დავით არახამია.**

უკრაინაში ხმაურიანი დაკავებებისა და საკადრო ცვლილების დაწყებას წინს უსწრებდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის **უილიამ ბერნსის** საიდუმლო ვიზიტი კიევში, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვდა და მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოლოდინები აქვს შეერთებულ შტატებს გაზაფხულზე რუსეთის საბრძოლო გეგმებთან დაკავშირებით. საიდუმლო შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო გაუჩინარებული საბრძოლო მასალა, რომელიც უკრაინამ არა მხოლოდ დასავლეთიდან, არამედ აშშ-დანაც მიიღო.

ანალიტიკოსების შეფასებით, როგორც ჩანს, ბერნსინმა უკრაინის პრეზიდენტისგან მოითხოვა შესაბამისი რეაგირება, წინააღმდეგ შემთხვევაში უკრაინისთვის შეიარაღებისა და დახმარების გაწევა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. სამხედრო ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ამბობს, რომ უკრაინაში იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდში კორუფციამ სერიოზულ გავლენებს მიაღწია. იყო ოლიგარქების მიერ შექმნილი კორუფციული ქსელები და, ფაქტობრივად, ოლიგარქები მართავდნენ უკრაინას. შესაბამისად, კორუფციული სქემები მოქმედებს ყველა მიმართულებით და მათ შორის უკრაინის შეიარაღებულ ძალებში. იგივეა სურსათსანოვაგესა და სამხედრო აღჭურვილობასთან დაკავშირებით – ასევე იარაღის მიმართულებით, რაც არ არის უსაფუძვლო ბრალდება.

„როგორც ვიცი, გაზაფხულზე იგეგმება სერიოზული პროცესების დაძვრა ამ მიმართულებით. შეიძლება ამას გადაყვეს უკრაინის მთავრობაც კი. მთავარია, რომ კორუფცია არ არის მიჩქმალული, როგორც ეს მოხდა 2008 წელს საქართველოში, რამაც ჩვენი დამარცხება გამოიწვია. ასეთი ფაქტების მიჩქმალვა არ ხდება უკრაინაში.

2008 წლის აგვისტოს ომი კორუფციული სქემების ნაწილი გახდა და ვიცით, რომ წაგებული ომის შედეგად მილიარდერი გახდა მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი. ამიტომ, როცა ვსაუბრობთ უკრაინაზე, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენი ქვეყანა. აქ მთავარი ის არის, რომ თუ მაშინ სააკაშვილმა არ მოახდინა ელიტური კორუფციის აღმოფხვრა, რამაც შემდგომში მიიღო ეროვნული უსაფრთხოების შემღალავი მასშტაბები, უკრაინამ დაიწყო ამაზე რეაგირება“, – აცხადებს **ვახტანგ მაისაია.**

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი **დავით კუხალაშვილის** განცხადებით, რეალურად, საომარი მოქმედებების ინსპირირებაც იმიტომ ხდება, რომ სამხედრო წრეები დაინტერესებული არიან ასეთი კონფლიქტების ინსპირირებით, რასაც აქვს ორი დადებითი მხარე. პირველი - ეს არის ოფიციალურად მოქმედი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც უშვებენ სხვადასხვა სახის შეიარაღებას. ამიტომ, მისი თქმით, იქ, სადაც იქმნება შეიარაღება, აუცილებელია, რომ მისი გამოყენება მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო მრეწველობა ვერ იფუნქციონირებს.

„ქვეყნები სამხედრო წრეებთან ერთად ერთიანდებიან და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სხვადასხვა კონფლიქტების ინსპირირებისთვის, რომ მათ საკუთარი ეკონომიკა ისევ სიცოცხლისუნარიანი ჰქონდეთ, მათ შორის სამხედრო უსაფრთხოების კუთხით და შესაბამისად, არსებობს მეორე მიმართულება და ეს არის არალეგალური იარაღის ბაზრები.

ორივე მხრიდან ამ ორივე მიმართულებაზე ძალიან დიდია სადაზვერვო სამსახურების აქტივობა და ისინი სწორედ კორუფციის ექსპორტის მეშვეობით ძალიან ამარტივებენ იარაღით როგორც კანონიერი, ისე უკანონო ვაჭრობის სქემას. ამიტომ, ასეთი სკანდალები იქნება და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ არსებობს მაღალი ალბათობა, უკრაინის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებებში იმყოფება, პრაქტიკულად ამ კორუფციულ სკანდალშია გახვეული“, – ამბობს **დავით კუხალაშვილი.**

რაც შეეხება ომის პარალელურად ძვირადღირებულ კურორტებზე დასვენების და უძრავი ქონების შესყიდვების შესახებ გასაჯაროებულ ინფორმაციებს, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში აცხადებს, რომ ეს არის აქტიური სადაზვერვო პროპაგანდის გამოყენება უკრაინის მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების მისამართით, რომ გამოიწვიონ მათი დემოლარიზაცია.

„ამით სამხედროებს ეუბნებიან, რომ თქვენ იბრძვით, იტანჯებით, მაგრამ აი, ნახეთ რას აკეთებენ მაღალჩინოსნები. ვფიქრობ, რომ ამ კომპრომეტაციის პროცესზედაც ძალიან კარგად აქვს ნამუშევარი ალბათობის მაღალი ხარისხით რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურს. ასეთი ინფორმაციული ნაკადების მოპოვება და გავრცელება, ეს არის საომარ მოქმედებებში წარმატების მიღწევის ხელსაყრელი პირობა საზოგადოებრივი აზრის შექმნის თვალსაზრისით“, – აღნიშნა **დავით კუხალაშვილმა.**

თამთა ქარჩავა

ქრთამის აღების ბრალდებით ქალაქ რენის მერი დააკავეს!

უკრაინის ეროვნულმა ანტიკორუფციულმა ბიურომ ქრთამის აღების ბრალდებით ოდესის ოლქის ქალაქ რენის მერი იგორ პლეხოვი დააკავა.

გავრცელებული ინფორმაციით, იგორ პლეხოვმა ქრთამის სახით 50 000 დოლარი აიღო. 50 000 დოლარის უკანონო გზით მიღების ბრალდებით ასევე დაკავებულია ადგილობრივი საკრებულოს წევრი. უკრაინული მედია წერს, რომ საწყობებისთვის მიწის ნაკვეთის ქირავნობის საკითხის გადასაჭრელად „დახმარებისთვის“ ჩინოსნები 100 000 აშშ დოლარს ითხოვდნენ.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზაპოროჟიეს, კიროვოგრადის, პოლტავის, სუმისა და ჩერნიგოვის რაიონული პროკურატურის ხელმძღვანელებმა თანამდებობები დატოვეს. პარალელურად, სასურსათო კონტრაქტებთან დაკავშირებული სკანდალის გამო, თავდაცვის მინისტრის მოადგილის შემდეგ, თანამდებობა დატოვა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორმა...

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი

სესხის/კრედიტის **№ IBRD 8547-GE** პროექტის

№: P149952 დავალების დასახელება: შესყიდვების კონსულტანტი კონტრაქტის ნომერი: **EWHCIP/CS/ICS-06**

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პირებს ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე (CV), რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება აღნიშნული მომსახურების გასაწევად.

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მრავალმხრივი განვითარების ბანკის (WB, ADB, EIB, EBRD) მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების განხორციელებაში;
- მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მრავალმხრივი განვითარების ბანკის (MDB) შესყიდვების პროცედურების/რეგულაციების ტრენინგებზე დასწრება და მონაწილეობა (სასურველია მსოფლიო ბანკის) ჩაითვლება უპირატესობად;
- ინგლისური და ქართული ენების უმაღლეს დონეზე ცოდნა;
- ინგლისურ და ქართულ ენებზე ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის და ანგარიშების მომზადების უნარი;
- სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების პროფესიონალურ დონეზე ცოდნა, მათ შორის MS Office.
- განათლება: უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში, როგორიცაა სამართალი, ბიზნეს ადმინისტრირება, სამოქალაქო ინჟინერია, ეკონომიკა, სოციალური მეცნიერებები და ა.შ.

<u>შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.</u>

კონტრაქტით გათვალისწინებული დავალების შესრულების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს მოვალეობების დამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში.

შესყიდვა/შერჩევა უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შესაბამისი საინვესტიციო პროექტების დაფინანსების (IPF) მსესხებლის რეგულაციების ან მსოფლიო ბანკის შესყიდვების განახლებული სახელმძღვანელოს მიხედვით.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ. ფოსტით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის რეზიუმესთან (CV) და სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ბეჭდური სახით ან ელექტრონულად, წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2023 წლის 13 თებერვლის 15:00 საათისა.

საკონტაქტო პირი: სალომე წურწუმია თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო ელ. ფოსტა: info@georoad.ge ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)

Loan No. IBRD 8547-GE

Project No. P149952

Assignment Title: Procurement Consultant

Reference No: EWHCIP/CS/ICS-06

The Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of **the East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**, and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible Individual Consultants ("Consultants") to express their interest in providing the following services: **Procurement Consultant**.

Interested individuals shall provide CV demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services.

Required Qualification of the Consultant:

- Minimum 3 years of procurement experience in the IFI/MDB (WB, ADB, EIB, EBRD) financed projects;
- Procurement experience in the World Bank-financed projects will be an advantage;
- Participation in procurement training in IFI/MDB procurement procedures/regulations will be an advantage (WB preferably);
- Fluency in English and Georgian Languages;
- Strong verbal and written communication and reporting skills in English and Georgian;
- Proficiency in standard computer applications, including MS Office.
- Education: A university degree in a related field such as Law, Business Administration, Civil Engineering, Economics, Social sciences, etc.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Estimated duration of assignment is 12 months with a possibility of downstream extension, subject to satisfactory performance.

The Consultant will be selected under the "Individual Consulting Service" method for a TimeBased contract, as described in the World Bank's Procurement Regulations for Investment

Project Financing (IPF) Borrowers or other World Bank procurement regulations as updated.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than February 13, 2023, 15:00 hours.

Name: Ms. Salome Tsurtsumia
Position: Deputy Chairperson of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

ჟურნალისტების მკვლელობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ახალი ანგარიშის თანახმად, ჟურნალისტების მკვლელობა მთელ მსოფლიოში 2022 წელს 50%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ყველაზე მეტი ჟურნალისტი მოკლეს უკრაინაში, ჰაიტისა და მექსიკაში. ნიუ-იორკში დაფუძნებული ორგანიზაციის ინფორმაციით, 2022 წელს მსოფლიოში სულ მცირე საინფორმაციო საშუალების 67 თანამშრომელი დაიღუპა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2018 წლის შემდეგ. ჰაიტიში 2022 წელს შვიდი ჟურნალისტი დაიღუპა. ჟურნალისტები ქუჩაში ძალადობრივმა განდგმა სიცოცხლეს გამოასალმეს, რომლებმაც დედაქალაქი პორტ-ო-პრენსი დაიპყრეს. ამასთან, მექსიკაში დაიღუპა 13 ჟურნალისტი. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ჟურნალისტები, რომლებიც აშუქებენ უკრაინაში ომს, უზარმაზარი რისკის წინაშე დგანან.

მექსიკაში ჟურნალისტების მკვლელობები ძირითადად ნარკოგანდგს და პოლიტიკურ მოტივებს უკავშირდება. 2022 წლის 17 იანვარს ფოტოგრაფი მარგარიტო მარტინესი საკუთარი სახლის წინ მოკლეს, ხოლო ხუთი დღის შემდეგ, 23 იანვარს, რეპორტიორი ლურდეს მალდონადო ლოპესი საკუთარ მანქანაში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს.

„ადგილობრივმა ნარკოგანდის ბოსმა შეიარაღებულ პირებს დაახლოებით 1000 დოლარი გადაუხადა იმისთვის, რომ ფოტოგრაფი მოეკლათ. მას ეგონა, რომ მარტინესმა ნარკოგანდის ოჯახს გადაუღო. ფოტო კი სხვა ფოტოგრაფმა გადაიღო", – აღნიშნეს გამომძიებლებმა. ხელისუფლებამ დააკავა და გაასამართლა რამდენიმე დაბალი რანგის შეიარაღებული პირი, მაგრამ არა ისინი, ვინც მკვლელობის ბრძანება გასცეს.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის"

განცხადება

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში: „სსე") ახორციელებს 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი „ალავერდი"-ს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის 1-1/42 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის" შემადგენელ ნაწილს. ეგხ „ალავერდი"-ს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის არეალში მოექცა შპს „M.B. INTERNATIONAL"-ის (ს/კ 406083198) საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთის (ს/კ: 83.03.16.502) ნაწილი, კერძოდ, 110.00 კვ.მ.

ხსენებულ კომპანიას ოფიციალურ მისამართზე 2021 წლის 2 ივნისს გაეგზავნა 2157/07 წერილი, რომელშიც განმარტებული იყო განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობა, ასევე, კომპენსაციის გაანგარიშების მეთოდოლოგია, და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება.

გამომდინარე იქიდან, რომ შეთანხმების მიღწევა მხარეთა შორის ვერ მოხერხდა, ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით, სსე-მ 27/04/2022წ. 2047/09 განცხადებით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

წინამდებარე პუბლიკაციით, სსე კიდევ ერთხელ სთავაზობს კომპანიას აწარმოოს მოლაპარაკება მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის თაობაზე. უარის შემთხვევაში კი, შპს „M.B. INTERNATIONAL-ს დამატებით ვაცნობეთ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც ამ უკანასკნელმა უნდა მიმართოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

◎ დღვინოს პრინციპით

ვიჩქარეთ ნელა!

დასრულდა სერია – ა-ს პირველი წრე და როცა სატურნირო ცხრილს შეავლებ თვალს, გული გაგინათდება ქართველ ქომაგს – ხვიჩა კვარაცხელია და ნაპოლი ცალი ფეხით უკვე სკუდეტოს მოხვეჭას ზეიმობენ: ნაპოლი – 50, მილანი – 38, ინტერი, რომა, ლაციო – 37-37, ატალანტა – 35, მაგრამ მას შემდეგ, რაც იუვენტუსი 15-ქულიანი სანქციით დასაჯეს, სჯობს, მოთმინებით აღვიჭურვოთ და მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ.

საუბარია იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პროკურორის მიერ ვიქტორ ოსიმენის ტრანსფერის დოკუმენტაციის გამოთხოვაზე, რომლის განხორციელებაც ფრანგული ლილიდან ბონუსებიანად 82 მილიონი ევრო დაჯდა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება შარშან მაისში დასრულდა და თაღლითობაში ეჭვმიტანილი პარტენო პეის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი მაშინ გადარჩა, რადგან საკმარისი მტკიცებულებები ვერ უპოვეს, მაგრამ ამჯერად გამომზეურდა ახალი სამხილები – სატელეფონო საუბრები, რომლებმაც გამომძიებლებს გაუღრმავა ეჭვი, რომ ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი ხელოვნურად იყო გაბერილი.

ნაპოლის სასარგებლოდ ის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქალაქის პროკურატურამ ჭეშმარიტების დასადგენად 6-თვიანი ვადა მოითხოვა მაშინ, როცა ბებერი ქალბატონის ცოდვები დაჩქარებულად განიხილეს, თანაც მის საქმეს 23 ფიგურანტი ჰყავდა.

ეს ისე, ზოგადად, ახლა კი უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რა დააშავა იუვენტუსმა.

საერთო ჯამში, მისი საქმე 4 მუხლს მოიცავს. დარღვევა ეხება ციფრებით თამაშს და კაპიტალურ ნამატს. კერძოდ, კლუბი ქმნიდა ჯანსაღი აქტივის ილუზიას, სანამ პრეზიდენტი ანიელი რეალურ ფულს საბაზრო მექანიზმში აბანდებდა – საუბარია 700 მილიონ ევროზე უკანასკნელ წლებში.

კაპიტალურმა ნამატმა ტურინელებს საშუალება მისცათ გადაელახათ კორონაკრიზისი და გაესწორებინათ ბალანსი, რომელიც კრიშტიანუ რონალდუს ხელფასმა აურიათ. მოკლედ, კლუბი ხარჯავდა უფრო მეტს, ვიდრე გამოიმუშავებდა, მაგრამ ისე აჩვენებდა, რომ საქმე პირიქით იყო.

ზემოთ შემთხვევით არ გაუღერებულა პორტუგალიელი მეგავარსკვლავის გვარი, რადგან ძირითადად სწორედ მას უკავშირდება აგორებული სკანდალი. დიახ, 2020 წელს იუვენტუს 23-მა მოთამაშემ ხელი მოაწერა შეთანხმებას 4 თვით ხელფასის შემცირების თაობაზე, რათა დახმარებოდა კლუბს კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, მაგრამ გუნდმა მოიტყუა. რეალურად ფეხბურთელებმა მხოლოდ 1 თვით შეიმცირეს ხელფასები, დანარჩენ 3 თვეში კი თანხა სალაროს გვერდის ავლით კონვერტებით მიიღეს.

გაირკვა ისიც, რომ რონალდუმ, რომელიც დელე ალპიზე 2018-2021 წლებში თამაშობდა, კლუბთან საიდუმლო კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც დამატებით ხელფასსა და ბონუსებს იღებდა. ასე რომ, ანიელის რონალდუსთვის ფული კონვერტით მიჰქონდა, რაც კლუბს საშუალებას აძლევდა თავი აერიდებინა გადასახადებისათვის და გაეყალბებინა ფინანსური ანგარიში.

მოგვიანებით გამოქვეყნდა განცხადება, რომ იტალიური გრანდი მის მიმართ დაწესებული სანქციების გასაჩივრებას აპირებს, ახლა კი იმ დისკვალიფიკაციას გავეცნოთ, რომელიც იუვეს აწ უკვე გადამდგარმა ბოსებმა მიიღეს:

ანდრეა ანიელი – პრეზიდენტი, 2 წელი.

მაურიციო არივაბენე – გენერალური დირექტორი, 2 წელი.

პაველ ნედვედი – ვიცე-პრეზიდენტი, 8 წელი.

ფაბიო პარატიჩი – აღმასრულებელი დირექტორი – 2,5 წელი.

ფედერიკო კერუბინი – სპორტული დირექტორი – 16 თვე.

◎ ფინიშზე

ფრთხილად, სახიფათოა!

როგორც მოგეხსენებათ, საბედისწერო ტრავმა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ლიდერმა თორნიკე შენგელიამ მუნდიალის მოგებულ შესარჩევ საშინაო მატჩში ნიდერლანდების გუნდთან მიიღო – 77:66, რამაც ევრობასკეტი გამოატოვებინა.

ბედის ირონიით, „ჯვაროსნები“ წლევანდელ სეზონს სწორედ რადენკო ვარაგიჩის შეგირდებთან გასვლითი შეხვედრით 23 თებერვალს გახსნიან, მის შედეგს კი ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში გასასვლელად, ისევე როგორც 26-ში თბილისში უშუალო კონკურენტ ისლანდიელებთან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება – ორივე მრძოლაში გამარჯვების შემთხვევაში ფილიპინებში, იაპონიასა და ინდონეზიაში გასამართავ ფორუმზე ვითამაშებთ!

მოახლოებული ბოლო აკორდის წინ ვირტუსი განაგრძობს არასტაბილურ ასპარეზობას როგორც სერია – ა-ში, ისე ევროლიგაში, რასაც გასულ უქმეებზე იტალიის პირველობაზე მრინდიზისთან საინფარქტო წაგებაც ადასტურებს – ბოლონიელებმა 20-ქულიანი უპირატესობა გაფლანგეს, დასკვნითი პერიოდი 10:31(!) დათმეს და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდევაც – 77:78. მართალია, სერჯიო სკარიოლომ თოკომოტივსა და თეოდოშიჩს ამჯერად დასვენების საშუალება მისცა, მაგრამ ვშიშობთ ასეთმა ფსიქოლოგიურმა დარტყმამ თვის ბოლოს ჩვენებურთა კაპიტნის მზადყოფნაზეც არ ჰპოვოს ასახვა.

ამასობაში ბენილუქსელთა ბალკანელმა თავკაცმა მასპინძელთა შემადგენლობა დაასახელა, რომელიც მთელ რიგ ძველ გვარდიელთა გარეშე დაგვიხვდება: დე იონგი, ხერაზი, კლოოფი, შაფტენაარი, ვილიამსი, ჰამინკი, აგრეთვე ლეგიონერები ამერიკის კოლეჯების ლიგიდან ედვარდსი, ნუესანი, პოსტი, ლეონსი, მასტი და ტრავმირებულები ელიტი და გრანტსაანი.

რაც შეეხება გამოძახებულებს, მათ შორის 3 დებიუტანტია: არისტოდი, ჰოევე და სტოლკი, გაფრთოებულ 23-კაციან ახალგაზრდულ შემადგენლობაში კი ვხვდებით როგორც ადგილობრივი კლუბების, ისე ესპანური ხუვენტუდის, ვალიადოლიდისა და ირაურგის, ბერძნული პაოკ-ის, ბელგიური ოსტენდესა და შარლერუას, ფრანგული ლე პორტელისა და გერმანული სკაილაინერსის წარმომადგენლებს.

და ბოლოს: თუ გავითვალისწინებთ, რომ უხერხულმა მეტოქემ ახლო წარსულში ორჯერ გაგვამწარა (2013 და 2015 წლებში), მისი შეუფასებლობა შეიძლება ამჯერადაც ძვირი დაგვიჯდეს.

ორიოდე სიტყვით


ჯრიკიშვილი გრუნდეგა...

ძიუდო

საქართველოს ნაკრებს დაუბრუნდა 31 წლის მსოფლიოსა და ევროპის 3-გზის ჩემპიონი **ავთანდილ ჯრიკიშვილი,** რომელიც 27-29 იანვარს პორტუგალიის გრან პრიზე იჭიდავებს კიდევ 12 თანაგუნდელთან ერთად. სულ ქალაქ ალმადას ტატამზე 78 ქვეყნის 530 წარმომადგენელს ვიხილავთ.

ჭიდაობა

უკვე გაუწყეთ, რომ საფრანგეთის ქალაქ ნიცის ხალიჩაზე გამართულ ანრი დელანის გრან პრიზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 6 მედალი მოიხვეჭა (2 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო).

პარტნიორებს არც კლასიკოსები ჩამორჩნენ, რომლებიც სამშობლოში 5 ჯილდოთი დაბრუნდნენ: **I ადგილი** – აკაკი ოსიაშვილი (55), ფრიდონ აბულაძე (60); **II ადგილი** – აივენგო რიკაძე (87), გიორგი ცაქანაშვილი (97); **III ადგილი** – ნიკა ყორშია (72).

ნბა

გოსტონ სელტიქსმა 74 წლის **კრის ფორდი** დაკარგა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდა იმით იყო ცნობილი, რომ 1979 წლის 12 ოქტომბერს ნბა-ს ისტორიაში პირველი სამქულიანი ჩააგდო.

მისი დაღუპვის მიზეზის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ფიგურული სრიალი

ევროპის 115-ე ჩემპიონატზე, რომელსაც ფინური ესპოო მასპინძლობს, ვაჟთა მოკლე პროგრამით მოსრიალე ორივე ქართველი ფიგურისტი 23 საუკეთესოში მოხვდა და დღეს თავისუფალი პროგრამით იასპარეზებს: **ნიკა ეგაძე** – 72,95 ქულა (მე-12 ადგილი), **მორის ყვითელაშვილი** – 70,55 ქულა (მე-16 ადგილი).

სუპერთასი

გრძელდება საფეხბურთო სამყაროდან რუსეთის მოკვეთის შეუქცევადი პროცესი, რომელიც ამჯერად თათრეთის დედაქალაქს შეეხო.

როგორც მოგეხსენებათ, წლეულს ყაზანს სუპერთასისათვის მატჩისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ უეფას მორიგი გადაწყვეტილებით, მადრიდის რეალისა და აინტრახტის შეხვედრა 16 აგვისტოს ათენში გაიმართება.

ერთა ლიგა

გაიმართა ერთა ლიგის ნახევარფინალისტთა წილისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:

ესპანეთი – იტალია (14 ივნისი), მასპინძელი ნიდერლანდები – ხორვატეთი .(15 ივნისი).



აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე

მეცნიერი, რომელიც გამოირჩეოდა უდიდესი ერუდიციით, გონებამახვილობით, აზრთა სინატიფით!..

ქართულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე. პროფესორი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, წყაროთმცოდნე, ეპიგრაფისტი, ქართველოლოგი, არმენისტი, ალბანოლოგი, საფრანგეთის წარწერათა და სიტყვაკაზმული მწერლობის აკადემიის უცხოელი წევრი,

ზაზა ალექსიძე დაიბადა 1935 წლის 3 აგვისტოს ქ. თელავში. აქვე 1953 წელს დაამთავრა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1958 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლადდაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად. 1961-1964 წლებში პროფ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობით სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. 1964-1968 წლებში იყო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი. 1968 წელს გადავიდა სამუშაოდ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში. 1979-2012 წლებში ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრას, 1989-2006 წლებში იგი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორია. სიცოცხლის ბოლომდე იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსულტანტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

ზაზა ალექსიძეს სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს 190-ზე მეტი ნაშრომი, აქედან 25 მონოგრაფია. მისი გამოკვლევები კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. ზ. ალექსიძის ნაშრომები გამოცემულია ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე.

იგი 1995-2001 წლებში იყო პარიზის სორბონის უნივერსიტეტის უმაღლეს კვლევათა პრაქტიკული სკოლის ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა სექციის მიწვეული პროფესორი, წმინდა ეკატერინეს მონასტრის საერთაშორისო მზრუნველთა საბჭოს წევრი, ამავე მონასტრის პალიმფსესტთა შემსწავლელი საბჭოს წევრი, აზია-წყნარი ოკეანიის აღმოსავლური ქრისტიანობის შემსწავლელი ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, ათონის მონასტრის ქართულ სიძველეთა შემსწავლელი პროგრამის ხელმძღვანელი.

ზ. ალექსიძის სახელთანაა დაკავშირებული 1975 წელს სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ორი პალიმფსესტი, რომელთა ქვედა ტექსტი შესრულებული იყო ქართული და სომხური კლასიკური ასომთავრულის მსგავსი შრიფტით, მაგრამ გაუგებარ ენაზე. ეს კოლექცია დამუშავებულ იქნა ზ. ალექსიძის მიერ, რომელმაც გამოსცა აღნიშნული უძველესი ტექსტები გამოკვლევებითურთ; ამავე დროს გაშიფრა უცნობი პალიმფსესტი და დაადგინა, რომ იგი წარმოადგენს „ლექციონარს“ და შესრულებულია ძველ ალბანურ ენაზე. ეს იყო აღმოჩენა ათეული საუკუნის წინ არსებული კავკასიელი ხალხის დაკარგული დამწერლობისა, რომლითაც მან ფაქტობრივად დააფუძნა კავკასიოლოგიის ახალი დარგი — ალბანოლოგია.

1990-2002 წლებში ხელმძღვანელობდა სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი უცნობი ქართული ხელნაწერების შემსწავლელ ექსპედიციებს, რომელთა შედეგები მნიშვნელოვანი აღმოჩენაა როგორც ქართული, ისე საერთაშორისო მეცნიერებისათვის.

წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით დაიწყო გამოცემა სერიისა „ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები“ და Monumenta Paleographica Mediiavi-ს ფარგლებში დაარსდა სერია Ibero-Caucasia, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის პრობლემათა კვლევებისა და მათი საერთაშორისო პოპულარიზაციისათვის.

ზაზა ალექსიძის მრავალმხრივი ღვაწლი მეცნიერებასა და პედაგოგიურ საქმიანობაში სათანადოდ დაფასდა. იგი არის ღირსების ორდენის კავალერი. 1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად. საერთაშორისო ასოციაციამ — „ფრანგული რენესანსი“ — დააჯილდოვა იგი ოქროს მედლით კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

ზაზა ალექსიძის სახით ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა მკვლევარი, რომელსაც გამოარჩევდა ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, თვისობრივად სრულიად განსხვავებული ხედვა და აზროვნება, უდიდესი ერუდიცია, აზრთა სინატიფე და უბერებლობა, გონებამახვილობა და ენამახვილობა, პოლემიკის საოცარი უნარი, მეცნიერული სიფხიზლე და წინდახედულება, შემოქმედებითი რისკი.

ღვაწლმოსილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ზაზა ალექსიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, ახლობლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გურამ ალექსიძეს ძმის

ზაზა ალექსიძის

გარდაცვალების გამო.

ქართველ საზოგადოებას გამოაკლდა გამორჩეული მეცნიერი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეროვნული აკადემიის წევრი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შავლეგ შილაკაძე

გარდაიცვალა კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი, კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ დამაარსებელი და მთავარი დირიჟორი, შავლეგ შილაკაძე.

შავლეგ შილაკაძემ 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტი (ვიოლინო, ალტი), 1968 წელს კი საკომპოზიციო ფაკულტეტი ოთარ თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით. 1968-71 წლებში თბილისის კონსერვატორიაში საოპერო-სიმფონიური განხრით დირიჟორის ურთულეს პროფესიას ეუფლებოდა ოდისეი დიმიტრიადის ხელმძღვანელობით; 1974 წელს კი სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტიც დაასრულა.

1959-1969 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური და კამერული ორკესტრების მსახიობი; 1969-1984 წლებში თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი; 1976-1985 წლებში ანსამბლ „თბილისის კამერატას“ დამაარსებელი და მთავარი დირიჟორი; 1984-2014 წლებში კონსერვატორიის დოცენტი, პროფესორი; 1988 წლიდან კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ დამაარსებელი და მთავარი დირიჟორი. 1999-2002 წლებში კაიროს ხელოვნებათა აკადემიის სიმფონიური ორკესტრის მიწვეული დირიჟორია. 2002 წელს დააარსა „თბილისის მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა კავშირი“.

1974 წლიდან იყო კომპოზიტორთა კავშირის წევრი. შექმნილი აქვს სიმფონიური, კამერული, საგუნდო და კანტატა-ორატორიული ნაწარმოებები. ატარებდა კონცერტებს საქართველოში და საზღვარგარეთ.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000), საქართველოს ეროვნული პრემია (2012), ჯილდო წლის საუკეთესო ნაწარმოებისათვის (2012);

წავიდა ჩვენგან გამორჩეული ხელწერის, მუდამ მაძიებელი მუსიკოსი, შესანიშნავი პროფესიონალი, დიდებული ადამიანი.

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა...

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი,
საქართველოს კულტურის ფონდი



მეუღლე დოდო, შვილები ივანე, გიორგი, სოფიო შილაკაძეები, შვილიშვილები ნიკოლოზ, ცოტნე, მარიამ შილაკაძეები, ელენე შილაკაძე-მალაფაია-ბატიშტა დისშვილი ელენე გოგიაშვილი, რძლები ეკა ჩალახეშაშვილი-შილაკაძე, ნინო ჩხაიძე, სიძეები ანზორ გოგიაშვილი, ანდრე მალაფაია-ბატიშტა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შავლეგ შილაკაძე

პანაშვიდი 27 იანვარს, ტიციან ტაბიძის ქ. №20.

გამოსვენება 28 იანვარს, შაბათს 14:00 საათზე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან.

თამაზ და მარინა შილაკაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, ბიძაშვილის შვილის

შავლეგ შილაკაძის

გარდაცვალებას.

საშიში სათამაშოები

ეკონომიკის სამინისტროს ზედამხედველობის სააგენტომ შემოწმების შემდეგ ქართულ ბაზარზე 77 სხვადასხვა ბავშვის სათამაშოს რეალიზაცია-გაყიდვები შეაჩრა.

ტოქსიკური ნივთიერებების ორგანიზმში დაგროვება, ტყვია და რეპროდუქციული მოწამვლა, ბავშვების ჯანმრთელობისთვის გამოუსწორებელი დაზიანებები – ამას სწორედ უხარისხო სათამაშოების გამოყენება იწვევს. საფრთხე აღმოჩნდა „ტყლარწის“ 11 სახეობაში, ერთი დასახელების მუსიკალურ სათამაშოში, დადგენილი სტანდარტები ვერ დააკმაყოფილა საბავშვო ფრჩხილის ლაქის ნაკრებმაც. ხშირ შემთხვევაში ამ პროდუქციის მწარმოებელი კომპანია უცნობია. სათამაშოების უმეტესობას ხარისხის ნიშანი და კომპანიის ეტიკეტი საერთოდ არ აქვს. ზედამხედველობის სააგენტოს მიერ შემოწმების ყველა ეტაპი გაიარეს დიდმა ქსელურმა მაღაზიებმა, თუმცა ბაზრობებსა და პატარა მაღაზიებში, შედარებით რთულადაა საქმე. ზედამხედველობის სააგენტომ გასულ წელს საბაჟო გაფორმების ეკონომიკური ზონიდან შემოსული 8 ათასზე მეტი სათამაშო შეამოწმა. ადგილობრივ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შემოწმება გრძელდება, მანამდე კი მშობლებს ურჩევენ ფრთხილად და ყურადღებით შეურჩიონ ბავშვებს მათთვის საყვარელი გასართობი საშუალებები.

ქართული „ჩიკატაი“ საზღვრებს გასცდა

სათამაშოების ადგილობრივი მწარმოებელი კომპანია „ჩიკატაი“ პროდუქციას ავსტრალიასა და იტალიაში გაყიდის, – საექსპორტო ბაზრებზე აქტიური პოზიციონირების შემდეგ კი „ჩიკატაი“ წარმოებასაც გაზრდის.

„ავსტრალიაში ექსპორტისთვის 550 ერთეული უკვე გამზადებულია, რომელსაც ჩვენი პარტნიორები უახლოეს მომავალში წაიღებენ, ეს საკმაოდ დიდი შეკვეთა იყო ჩვენი მცირე საწარმოსთვის, რის ხარჯზეც კომპანიამ გასული წელი მოგებით დაასრულა.

ასევე, სააგენტოს, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით ვიმყოფებოდით ფლორენციაში „Pitti Immagine Bimbo“ 2023-ის საერთაშორისო გამოფენაზე. სწორედ ამ გამოფენის საშუალებით გავიცანით იტალიის ორი მაღაზიის წარმომადგენელები, სადაც ჩენი პროდუქცია დავტოვეთ“, - განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა თამარ ბუიღლიშვილმა. „ჩიკატაის“ პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე, მათ სახელოსნოსა და საბავშვო კონცეპტუალურ მაღაზიებში რეალიზდება, მათი მთავარი პრიორიტეტი კი მაღალხარისხიანი და უსაფრთხო სათამაშოების დამზადებაა.

ლამაზმანები უკრაინელ ჯარისკაცებს ეხმარებიან

უკრაინელმა მოდელმა ვიქტორია აპანასენკომ ფრთები, რომელიც „მის სამყაროზე“ ეკეთა, უკრაინელი ჯარისკაცების დასახმარებლად 10 000 დოლარად გაყიდა.

ვიქტორია აპანასენკო 14 იანვარს, ნიუ-ორლეანში გამართულ „მის სამყაროზე“, უკრაინელი დიზაინერის ლესი პატოკის შექმნილი კაბით წარსდგა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, კაბა რუსული სარაკეტო იერიშების დროს, სანთლის შუქზე შეიკერა და ის უკრაინის თავისუფლებისთვის ბრძოლას განასახიერებს.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

ცნობილმა მოდელმა და მსახიობმა სურვილი აისრულა

ამერიკელ მოდელსა და მსახიობს პერის ჰილტონს და მის ქმარს კარტერ რეუმს ცოტა ხნის წინ პირველი შვილი, ვაჟი სუროგატი დედის მეშვეობით შეეძინათ.

„ჩემი ოცნება ყოველთვის იყო დედა ვყოფილიყავი და ბედნიერი ვარ, რომ მე და კარტერმა ერთმანეთი ვიპოვეთ“, – განუცხადა ახალგზედა დედამ ექსკლუზიურად PEOPLE-ს. 41 წლის ჰილტონი ადრე ღიად აცხადებდა, რომ მისი სურვილი იყო გამხდარიყო მშობელი რეუმთან ერთად. ჰილტონმა გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ბავშვის ხელი უჭირავს. **„უკვე იმაზე მეტად გვიყვარხარ, ვიდე სიტყვებს ამის გადმოცემა შეუძლია“,** – წერს პერისი. ამერიკელი მოდელი და მსახიობი პერის ჰილტონი და მისი მეგობარი კაცი, მეწარმე კარტერ რეუმი პანდემიის დროს დაქორწინდნენ. ქორწილი პერისის ბაბუის სახლში, ლოს-ანჯელესში გაიმართა. ვარსკვლავურმა წყვილმა ერთმანეთი პერისი სიმღერაზე რეარტბეატ ვიდეორგოლის გადაღების დროს 2006 წელს გაიცნო, თუმცა რომანტიკული ურთიერთობა ოფიციალურად 2019 წელს დაიწყეს.

„ელჩის მიერ მოთხრობილი საქართველო“

მთელი იაპონიის მასშტაბით გაყიდვაში გამოვიდა წიგნი „ელჩის მიერ მოთხრობილი საქართველო“, რომელიც იაპონიაში საქართველოს ელჩის, თეიმურაზ ლეჟავას და საელჩოს თანამშრომლის, დავით გოგინაშვილის თანაავტორობით დაიწერა. წიგნად კი ცნობილმა იაპონურმა გამომცემლობამ შეიკაისჰა გამოსცა.

„თეიმურაზ ლეჟავა ტოკიოს ერთ-ერთ უდიდეს წიგნის მაღაზიას ქარუზენ ესტუმრა, რომელიც ერთ-ერთია იმ ასობით მაღაზიას შორის, სადაც წიგნის შეძენაა შესაძლებელი, და თავად კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ იაპონელებში „ელჩის მიერ მოთხრობილი საქართველო“ დიდ ინტერესს იწვევს. ეს წიგნი იაპონელ მკითხველს შესაძლებლობას აძლევს ელჩის თვალით დანახულ საქართველოს გაეცნოს. გაიგოს ჩვენი ქვეყნის მდიდარი წარსულის, მრავალფეროვანი კულტურის, ტურისტული ღირსშესანიშნაობების, მეღვინეობის ტრადიციისა თუ სამზარეულოს უნიკალურობის შესახებ. წიგნზე მუშაობა თითქმის ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. პროექტის მიზანს კი, იაპონიაში საქართველოს ცნობადობის გაზრდასთან ერთად, ტურიზმის წახალისება და ქართული კულტურის კიდევ მეტად პოპულარიზება წარმოადგენს“, – აღნიშნულია იაპონიაში საქართველოს საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პაპი ჰომოსექსუალიზმის დამცველია

„ჰომოსექსუალიზმი დანაშაული არ არის. დიახ, ეს ცოდვაა. მაგრამ მოდით დასაწყისისთვის ცოდვა და დანაშაული ერთმანეთისგან განვასხვაოთ. ერთმანეთისადმი მოწყალების არ გამოვლენაც ცოდვაა“, – განაცხადა ფრანცისკემ.

პონტიფექსმა ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა ჰომოსექსუალიზმის მიღება და პატივისცემა და არა მათი მარგინალიზაცია და დისკრიმინაცია. **„ყველანი უფლის შვილები ვართ და ღმერთს ისეთები ვუყვარვართ, როგორებიც ვართ“,** – დასძინა მან. ფრანცისკემ აღნიშნა, რომ მის ხედვას ყველა კათოლიკე მღვდელი არ ეთანხმება, რაც, მისი აზრით კულტურული კონტექსტით არის განპირობებული. მისი თქმით, კათოლიკურ ეკლესიას შეუძლია ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებულ უსამართლო კანონებთან ბრძოლა და ასეც უნდა მოიქცეს. რომის პაპ ფრანცისკეს არაერთხელ გამოუხატავს ლგბტქ-საზოგადოებისადმი მხარდაჭერა, მათ შორის გააკეთა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისადმი მხარდაჭერა.

რუსეთის პატრიარქმა უკრაინელ და რუს ერებს შერიგებისკენ მოუწოდა

„ჩვენი რუსული სახელმწიფო დღეს მართლაც მრავალი სახიფათო, მაგრამ ამავე დროს საბედისწერო გამოწვევის წინაშე დგას. კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ძმური კავშირები წმინდა რუსეთის შემადგენელ ხალხებს შორის. დღეს ეს ამოცანა ჩვენი ეკლესიის მისიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ჩვენი ეკლესია არის სრულიად რუსეთის ეკლესია და უკრაინა და ბელარუსი ამ ისტორიული რუსეთის ნაწილია. ამიტომ ყველამ, ვინც შედის წმინდა რუსეთის ისტორიულ ნაწილში, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა კაცობრიობის მტერმა ეშმაკმა ვერ მიაღწიოს იმას, რომ ძმა ძმის წინააღმდეგ აჯანყდეს. ისტორიულად რუსეთის ყველა ხალხში მშვიდობა, კეთილდღეობა და ძმური სიყვარული იყო და უკრაინელი და რუსი ერები უნდა შერიგდნენ“, – განაცხადა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა.

პრინცესა მეორე შვილს ელოდება

ბრიტანეთის პრინცესა ევგენია და მისი მეუღლე ჯეკ ბრუკსბენკსი მეორე შვილს ელოდება. ტელეარხის ინფორმაციით, ბავშვი ზაფხულში გაჩნდება.

ევგენია მეფე ჩარლზის ძმისშვილია. სამეფო ტახტის მემკვიდრეთა სიაში ის მე-11 ადგილს იკავებს. პრინცესა ევგენია და ჯეკ ბრეკსბენკი 2018 წელს დაქორწინდნენ. 2021 წლის თებერვალში მათ პირველი შვილი შეეძინათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 30 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6491; ევრო - 2.8788;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2581;
100 რუბლი - 3.8284; თურქული ლირა - 0.1414;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5614;
1000 სომხური დრამი - 6.7023

ამინდი 27 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-7,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-13,	დღე	+3
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	-2,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge